



დამტკიცებულია

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა  
და აუდიტორთა ფედერაცია



დირექტორი: ლავრენტი ჭუმბურიძე

2020 წლის 03 იანვარი

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

## შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

### I. შესავალი

„საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“ (შემდგომში - კომპანია) ახორციელებს მომეტებული საფრთხის შემცველ, საშიშპირობებიანი სამუშაოებს. კომპანია მნიშვნელოვან როლს ანიჭებს და პრიორიტეტად აქვს დასახული როგორც დასაქმებულების, ასევე ვიზიტორების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. კომპანია ზრუნავს ვიზიტორების უსაფრთხოებაზე და უზურუნველყოფს უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს. ამის მიღწევა ხდება სამუშაო პროცესების სწორად შართვითა და მენეჯმენტის, დასაქმებულებისა და პროფესიული ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობით, კომპანიის მენეჯმენტი მიისწრაფის მიმდინარე სამუშაო პროცესებისა და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების გაუმჯობესებისკენ, ამ მიზნით კომპანია ახორციელებს არაერთ პროაქტიულ ღონისძიებას და მუდმივ რეჟიმში აწარმოებს სამუშაო პროცესის მონიტორინგსა და კონტროლს. ეს მიდგომა ხელს უწყობს კომპანიაში შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

კომპანიის მენეჯმენტი ადასტურებს თავის ვალდებულებას დაიცვას საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონი და სხვა შესაბამისი რეგულაციები.

### II. შრომის უსაფრთხოების სიტემის მართვა


## II. შრომის უსაფრთხოების სიტემის მართვა

კომპანიამ შრომის უსაფრთხოების სისტემა დანერგა შემდეგი მიზეზების გამო:

- 1. მორალური** - როდესაც შრომის უსაფრთხოების არასათანადო სამუშაო გარემოს გამო, მომხდარი ფატალური უბედური შემთხვევები, ტრავმები თუ პროფესიული დაავადებები დიდ გავლენას ახდენს არა მარტო მათზე, არამედ მათ ოჯახის წევრებზე, მეგობრებსა და კოლეგებზე, მსგავსი ფაქტები მორალურად მიუღებელია.
- 2. სამართლებრივი** - შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა წარმოადგენს ჩვენი საქმიანობის ძირითად მარეგულირებელ ნორმებს და ჩვენი ორგანიზაცია მუდმივად მზადაა შეასრულოს დაკისრებული ვალდებულებები.
- 3. ფინანსური** - შრომის უსაფრთხოების სისტემა კომპანიას შეუმსუბუქებს და თავიდან აარიდებს უბედური შემთხვევებთან და პროფესიულ დაავადებებთან დაკავშირებულ ხარჯებს. შრომის უსაფრთხოების წესების დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს ჩვენს პარტნიორებთან საქმიანი რეპუტაციის შელახვა და ზიანი მიადგეს საწარმოს საქმიანობას.

შესაბამისად, აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, კორპორატიული პასუხისმგებლობის პრინციპზე დაყრდნობით, შევქმენით წინამდებარე შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი.

კომპანია იღებს პასუხისმგებლობას აწარმოოს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა. შრომის უსაფრთხოების სიტემის მთავარ ელემენტებად განვიხილავთ პოლიტიკას, ორგანიზებას, დაგეგმვას, დანერგვას, შეფასებასა და სრულყოფის ღონისძიებებს. ამასთან, შრომის უსაფრთხოების სიტემა აგებულია შემდეგმოდელზე:



### III. რისკების შეფასება და მართვა

კომპანია აცნობიერებს თავის წილ მაღალ პასუხისმგებლობას, რომ სამუშაო ადგილებზე მუდმივ რეჟიმში წარმოიქმნება საფრთხეები და მათი საკონტროლო ღონისძიებები მენეჯმენტის მთავარი გამოწვევაა.

რისკის მართვის ძირითადი ეტაპები:

#### 1. რისკების შეფასება:

- 1.1. საფრთხის იდენტიფიცირება;
- 1.2. რისკების შეფასება;
- 1.3. რისკის დონის განსაზღვრა;
- 1.4. მონაცემების დოკუმენტირება;
- 1.5. გადახედვა.

#### 2. რისკების კონტროლის იერარქია

- 1.1. აღმოფხვრა;
- 1.2. ჩანაცვლება;
- 1.3. საინჟინრო კონტროლი;
- 1.4. ადმინისტრაციული კონტროლი;
- 1.5. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

კომპანიაში რისკების შეფასება და მართვა ხორციელდება აღიარებულ პრინციპებზე და პრაქტიკაზე დაყრდნობით შემუშავებული, კომპანიის მენეჯმენტის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიით.

### IV. პერსონალის სწავლება

კომპანიის თანამშრომლები გადიან შესავალ ინსტრუქტაჟს შრომის უსაფრთხოებაში. პერსონალი ასევე ვალდებულია გაიარონ მომზადება კონკრეტული სპეციალიზაციის მიხედვით.

ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გაეცნოს თანამდებობრივი და უსაფრთხოების ტექნიკის წესებს.

გარკვეულ თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია თანამშრომლებს გააჩნდეთ სახელმწიფოს მიერ აღიარებული, სასწავლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს პირის კვალიფიკაციას.

### V. დისციპლინური პოლიტიკა

შრომის უსაფრთხოების სათანადოდ უზრუნველყოფა რთულია გარკვეული ტიპის

დისციპლინარული პოლიტიკის გატარების გარეშე. უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შენარჩუნებისთვის აუცილებელია, ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ მოთხოვნების დაცვა.

დისციპლინარული პოლიტიკა გამოყენებული იქნება შრომისა უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების გამოვლენისას, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, მოქმედებს შემდეგი დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები:

საწყის ეტაპზე (გარდა უხეში დარღვევისა) დამრღვევი გაფრთხილდება სიტყვიერად.

მეორე დარღვევაზე ან პირველ შემთხვევაში უხეში დარღვევისას - წერილობითი საყვედური ან ფულადი ჯარიმა.

მესამე დარღვევაზე ან მეორე უხეშ დარღვევაზე - დამრღვევის სამუშაოდან დროებით ჩამოცილება ან სამსახურიდან გათავისუფლება.

## VI. მონიტორინგი და ანგარიშგება

გამოვლენილი საფრთხეებისა და რისკების პროფილაქტიკური ღონისძიებების ჯეროვანი განხორციელების შესაბამისობის დადგენის მიზნით კომპანიაში წარმოებს პერიოდული მონიტორინგი. შრომის უსაფრთხოების სამსახური ვალდებულია ჩაატაროს შიდა ინსპექტირებები და შეამოწმოს, რამდენად სწორად მიმდინარეობს რისკების კონტროლის პროცესი, ასევე აღნიშნული მონიტორინგი ხელს უწყობს ახალი საფრთხეების იდენტიფიცირებას, რაზეც წარმოებს შესაბამისი ანგარიშგება მმართველ რგოლთან. მონიტორინგის შედეგები ჩაინიშნება, დამუშავდება და განიხილება მენეჯმენტთან ერთად, შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა/განხორციელების მიზნით.

## შრომის უსაფრთხოების წესი

### I. შესავალი

„საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“ -ს (შემდგომში - კომპანია) შრომის უსაფრთხოების წესი შემუშავებულია კომპანიის სამუშაო სივრცეში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისათვის, რომელიც ეფუძნება საქართველოს კონონმდებლობას და კომპანიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკას.

### II. შრომის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები

1. საწარმოში სამუშაოდ დაიშვებიან 18 წელს მიღწეული პირები, რომალთაც აქვთ შესაბამისი ცოდნა და უნარები და გავლილი აქვთ შესაბამისი სწავლება საწარმოში მოწყობილობებთან მუშაობის,

ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების წესებში.

2. სამუშაო პოზიციის ან სამუშაო პროცედურის შეცვლის შემთხვევაში უნდა მოხდეს პერსონალის გადამზადება - პირველადი ინსტრუქტაჟის ჩატარება.
3. სამუშაო სივრცეში არ დაიშვებიან ის პირები, რომელთაც კავშირი არ აქვთ შესასრულებელ სამუშაოსთან.
4. დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) და გაუმართავი ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების გამოყენება.
5. საწარმოში აკრძალულია ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მიღება და არაფხიზელ მდგომარეობაში, ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის დაშვება.
6. საწარმოო ტრამვის, უბედური შემთხვევის, პროფესიული დაავადების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სასწრაფო დახმარების სამსახურს, უშუალო უფროსს და შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს.
7. მომეტებული საფრთხის დროს, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ავარია სასწრაფოდ უნდა მოხდეს საწარმოს გაჩერება და ამის შესახებ ეცნობოს საწარმოს მენეჯერს, დირექტორს და შრომის უსაფრთხოების მენეჯერს.
8. დაუშვებელია სამუშაოს დაწყება შესასრულებელი სამუშაოს წინასწარი გაცნობისა და სამუშაო ადგილზე ზედამხედველის/სუპერვაიზერის მიერ ინსტრუქტაჟის ჩატარების გარეშე;
9. მუშაობის დაწყებამდე უნდა შემოწმდეს ზედამხედველის/სუპერვაიზერის სამუშაო ადგილი;
10. დასაქმებულმა სამუშაო ადგილი წესრიგში და სუფთა მდგომარეობაში უნდა ჩააბაროს შემცვლელ ცვლას.
11. დასამქებულმა ყველა ხელის ინსტრუმენტი უნდა გამოიყენოს მხოლოდ დანიშნულებისამებრ.

### **III. კომპანიის მენეჯმენტის მოვალეობები**

სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კომპანია:

1. ზრუნავს, რომ საფრთხის არსებობისას დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს.
2. უზრუნველყოფს, რომ ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას.
3. კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხავს სამუშაო სივრცეში უბედურ შემთხვევებს, პროფესიული დაავადებების შემთხვევებს.
4. რეგულარულად ამოწმებს ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობას.
5. დასაქმებულთა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს, აფასებს რისკებს, ზრუნავს საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრაზე.
6. უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაოებისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით მუშა-მოსამსახურეთა აღჭურვას.

7. უზრუნველყოფს წარმოებას პირველადი დახმარების საშუალებებით.
8. სათანადო დონეზე უზრუნველყოფს სამუშაო სივრცეში სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვას.
9. უზრუნველყოფს პერსონალისთვის შესაბამისი სწავლების ჩატარებას.
10. სამუშაო პროცესში პერსონალისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში უზრუნველყოფს ზიანის ანაზღაურებას.
11. უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის უბედურ შემთხვევაზე დაზღვევას.

#### **IV. დასაქმებულთა მოვალეობები დასაქმებული ვალდებულია:**

1. იხელმძღვანელოს ამ წესით, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ინსტრუქციებით და ხდამორჩილოს დამსაქმებლის მიერ დადგენილ სამუშაო პროცედურებს;
2. შეასრულოს სამუშაო, მართოს და გამოიყენოს სამუშაო ტექნიკა, მასალები, საშიში ნივთიერებები და სხვა საშუალებები დადგენილი წესების მიხედვით, ტრენინგებზე და მუშაობისას მიღებული ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;
3. მართოს სპეციალური წესების მიხედვით განსაზღვრული, მომეტებულ საფრთხესთან დაკავშირებული სამუშაო ტექნიკა და შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქვს შესაბამისი კომპეტენცია, და მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ სამუშაოს შესრულება დამსაქმებელმა დაავალა;
4. თვითნებურად არ გამორთოს, არ შეცვალოს ან არ მოხსნას სამუშაო ტექნიკის, აპარატის, ინსტრუმენტის, დანადგარის ან აღჭურვილობის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დამცავი მოწყობილობები და აღნიშნული მოწყობილობები დანიშნულებისამებრ გამოიყენოს;
5. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოიყენოს ინსტრუქციების შესაბამისად, შეინახოს მუშა მდგომარეობაში და დააბრუნოს მათთვის განკუთვნილ ადგილზე;
6. დაუყოვნებლივ წარუდგინოს კომპანიის ადმინისტრაციას ან შრომის უსაფრთხოების მენეჯერს ინფორმაცია ნებისმიერი ხარვეზის შესახებ, რომელმაც შეიძლება სამუშაო სივრცეში საშიშროება შეუქმნას შრომის უსაფრთხოებას ან გამოიწვიოს უბედური შემთხვევა ან საშიში შემთხვევა, აგრეთვე თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს ამ ხარვეზის აღმოფხვრაში;
7. დაესწროს კომპანიის მიერ ორგანიზებულ შრომის უსაფრთხოების შესახებ ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებს;
8. გაიაროს პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევები იმ სამუშაოსთან დაკავშირებით, რომლის შესრულებისთვისაც აღნიშნული გამოკვლევების გავლა აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
9. დაიცვას შრომის უსაფრთხოების მენეჯერის, ექიმის და უშუალო ხელმძღვანელის მითითებები და რეკომენდაციები უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
10. არ გამოცხადდეს სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და სამუშაოს შესრულებისას არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები;
11. დაემორჩილოს სამუშაო სივრცეში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს;

12. თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, მომზადებისა და კომპანიის მიერ ჩატარებული ინსტრუქტაჟის შესაბამისად იზრუნოს საკუთარი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვაზე, აგრეთვე იმ პირების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვაზე, რომლებსაც საკუთარი მოქმედებით ან უმოქმედობით ზიანი მიადგათ.

## V. პერსონალის უსაფრთხო ქცევის წესები

**კომპანიაში თანამშრომელთა მიერ დაცული უნდა იყოს შემდეგი წესები:**

1. მკაცრად დაიცავით ამ წესით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმები და ყველა წესი, რომელსაც გაეცანით ტრენინგისა და ინსტრუქტაჟის დროს;
2. პოტენციური საფრთხის შემცველ ადგილებზე მოერიდეთ გაუფრთხილებელ ქმედებებს;
3. მომეტებული საფრთხის შემცველ სივცეებში არ შეხვიდეთ, თუ არ ხართ შესაბამისი ავტორიზებული პერსონალი;
4. საფრთხის შემცველ ადგილებზე იყავით მობილიზებული და ყურადღებით;
5. აუცილებლად გამოიყენეთ სათანადო პერსონალური დაცვის საშუალებები;
6. დარწმუნდით რომ, სამუშაო ჩაცმულობა შეესაბამება სამუშაო პირობებს.
7. სამუშაო ადგილზე შესვლისას და გამოსვლისას ყურადღებით გააღეთ და დაკეტეთ კარები;
8. პოტენციურად საფრთხის შემცველ სამუშაო ადგილზე შეაფასეთ არსებული საფრთხე და იყავით ყურადღებით მოძრაობისას და/ან ნივთების გადაადგილებისას;
9. არ გამოიყენოთ გაუმართავი მოწყობილობები;
10. ისეთი საქმიანობის განხორციელებამდე, რომელიც იწვევს, ან შეიძლება გამოიწვიოს აალება, გაწმინდეთ ტერიტორია აალებადი მასალებიდან და მტვრისგან;
11. უნდა გახსოვდეთ, რომ ელექტროდანადგარიდან ძაბვის გაქრობის შემდეგ ის შეიძლება კვლავ მიეწოდოს;
12. ინსტრუმენტები და უსაფრთხოების ინვენტარი შეინახეთ მწარმოებლის მოთხოვნების შესაბამისად;
13. კონკრეტული სამუშაოს დასრულებისას გამორთეთ/უსაფრთხო რეჟიმზე გადაიყვანეთ ხელსაწყოები და მოწყობილობები. სამუშაო ადგილის ბოლოს დატოვების შემთხვევაშიც გამორთეთ/უსაფრთხო რეჟიმზე გადაიყვანეთ ყველა ხელსაწყო და მოწყობილობა;
14. ჯანმრთელობის არასათანადო მდგომარეობის შესახებ საქმის კურსში ჩააყენეთ კომპანიის ადმინისტრაცია. მუშაობისას შეუძლოდ გახდომის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობეთ უშუალო უფროსს ან ყველაზე ახლოს მყოფ თანამშრომელს;
15. რომელიმე თანამშრომლის მიერ გონების დაკარგვის ან მისი დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება და აცნობეთ საწარმოს ადმინისტრაციას;

16. სახიფათო ადგილებთან არ დაუშვანთ გარეშე პირები, საჭიროების შემთხვევაში შეაჩერეთ სახიფათო სამუშაო და გამოიძახეთ დაცვის წარმომადგენელი;
17. მექანიზმების ამუშავების წინ უნდა შეამოწმოს, რომ მათი შემოღობვები და სხვა დამცავი საშუალებები იმყოფებიან გამართულ მდგომარეობაში. კატეგორიულად აკრძალულია მუშაობის საწყება, სანამ ისინი წესრიგში არ იქნებიან მოყვანილნი;
18. იმუშაოს მხოლოს კარგად განათებულ სამუშაო ადგილზე, არასაკმარისი განათების პირობებში მუშაობამ შეიძლება გამოიწვიოს უბედური შემთხვევა;
19. სამსახურებრივი მოვალეობით გამოწვეული შემთხვევების გარდა აკრძალულია იმ საამქროებში ყოფნა, სადაც იგი არ მუშაობს;
20. დაკვამლიანების ან საეჭვო სუნის შემთხვევაში, ატეხეთ განგაში, დატოვეთ სამუშაო ადგილი და დაუყოვნებლივ აცნობეთ კომპანიის ადმინისტრაციას;
21. ევაკუაციის შემთხვევაში იხელმძღვანელებთ ობიექტზე განთავსებული საევაკუაციო გეგმის შესაბამისად. შენობიდან გასვლის შემდეგ არ დაბრუნდეთ შენობაში, სანამ შესაბამისი პირი არ გაცნობებთ, რომ შესვლა უსაფრთხოა.

**დასაქმებულს ეკრძალება:**

22. შეუდგეს მუშაობას უშუალო ხელმძღვანელის მითითების გარეშე და ინსტრუქტაჟის გაუვლელად;
23. შეუდგეს ახალი, მის პირდაპირ მოვალეობაში არშემავალი სამუშაოს შესრულებას, უშუალო ხელმძღვანელისაგან მიზნობრივი ინსტრუქტაჟის მიღების გარეშე, სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების შესახებ;
24. შეუდგეს სამუშაოს შესრულებას იმ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების გარეშე, რომელიც გათვალისწინებულია სათანადო ინსტრუქციით, წესებით და სხვა ნორმატიული დოკუმენტაციით, ასევე დაზიანებული ან მათი გამოცდის ვადაგასული ინდივიდუალური საშუალებების გამოყენებით;
25. მოძრავი შემადგენლობის მოძრაობის დროს იმ ადგილებში ყოფნა, რომლებიც აღნიშნულია ნიშნით „ფრთხილად“!
26. გაჟონვის ნიშნების და დაზიანებული დამცავი აპარატურის მქონე საეკიპირო მოწყობილობის ექსპლუატაცია;
27. ელექტრომოწყობილობის დამცავი შემოღობვის შიგნით შესვლა;
28. ელექტრო სადენებთან, მომჭერებთან და სხვა ადვილად ხელმისაწვდომ დენგამტარ ნაწილებთან შეხება;
29. არასტანდარტული ელექტროგამათბობელი მოწყობილობის გამოყენება;
30. ღია გამათბობელი ელემენტების მქონე მოწყობილობით სარგებლობა და მათი უყურადღებოდ დატოვება ჩართულ მდგომარეობაში;
31. დაზიანებული ჩამრთველების, ავტომატური გამომრთველების და როზეტების გამოყენება;
32. მწყობრიდან გამოსული ელექტრომოწყობილობის, ელექტროდანადგარების და ელექტროინსტრუმენტის რემონტის დამოუკიდებლად შესრულება;



33. აწეული ტვირთის ქვეშ და მისი გადაადგილების გზაზე დგომა;
34. შემოსაღობი ბადეებითა და ფარებთ დაუცველი მოწყობილობების მბრუნავი ნაწილების სიახლოვეს მუშაობა;
35. აუცილებლობის გარეშე მოწყობილობის მექანიკური და ელექტრული ნაწილების დამცავი გარსაცმების მოხსნა;
36. ტრანსპორტიორების და კონვეიერების აკრძალულ ადგილებში გადასვლა, მათ ქვეშ შეძრომა და საშიში ადგილების შემოღობვის შიგნით შესვლა;
37. სამუშაოს შესრულება თუ იმ ადგილზე სრიალებს იატაკი (დასვრილია ზეთით ან სხვა საწვავსაცხები მასალით);
38. სამუშაო ადგილზე ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებიც იწვევენ ყურადღების გაფანტვას, როგორცაა მობილური ტელეფონი, და სხვა. აღნიშნულის გამოყენება შესაძლებელია დასვენებისათვის გამოყოფილ ადგილებში;
39. სამუშაოზე ყოფნა ალკოჰოლური, ტოქსიკური და ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში;
40. არ ისარგებლოს ღია ცეცხლით ადვილად აალებადი ხსნარების და წვადი მასალების სიახლოვეს; არ შეინახოს ადვილად აალებადი, ფეთქებადი და მომწამვლელი ნივთიერებები შენობაში, რომელიც არ პასუხობს სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნას;

## **VI. ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები**

ორგანიზაციის ტერიტორიაზე მოძრავი ყველა პირი, უშუალოდ სამუშაოს შესრულების პროცესში, ვალდებულია თან იქონიოს და გამოიყენოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები: სათვალე, ჩაფხუტი, რესპირატორი, სპეც-ჟილეტი (საჭიროებისამებრ), სპეც-ფეხსაცმელი, უნიფორმა, ხმაურმხშობი.



### ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (ი.დ.ს) გაცემის და გამოყენების წესი

- ინდივიდუალური დაცვის საშუალებამ თავის დანიშნულებისამებრ უნდა უზრუნველყოს დასაქმებულებზე და ობიექტზე მყოფი სხვა პირებზე მავნე და/ან სახიფათო ფაქტორების ზემოქმედების გაუვნებელყოფა ან შემცირება, ასევე მათი დაცვა დაბინძურებისგან;
- დასაქმებულმა უნდა უზრუნველყოს სერთიფიცირებული/ხარისხიანი პროდუქციის შეძენა. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია სპეცსაშუალებების ცალკეული სახეობა შეიცვალოს ანალოგიურით, რომელიც უზრუნველყოფს თანაზომად ფუნქციებს;
- თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელი პირები უზრუნველყოფენ დასაქმებულების ინფორმირებას შესასრულებელი სამუშაოებისათვის გათვალისწინებული სპეცსაშუალებების შესახებ, მათი გამოყენების ვადების და სპეციფიური თვისებების შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში კონკრეტული ობიექტისათვის უნდა შემუშავდეს ლოკალური წესები სპეცსაშუალებების გამოყენებაზე, სადაც გათვალისწინებული იქნება ამ ერთეულების ორგანიზაციული, კლიმატური და საწარმოო თავისებურებანი;
- სპეცსაშუალებების გამოყენების ვადა განისაზღვრება დასაქმებულზე მისი ფაქტიური გაცემის დღიდან და ფიქსირდება ხელმოწერით "სპეცპეტანსაცმლის, სპეცფეხსაცმლის და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებების გაცემის აღრიცხვის" ჟურნალში;
- დასაქმებული ვალდებულია სპეცსაშუალებები გამოიყენოს მხოლოდ დანიშნულებისამებრ და შესაბამისი სამუშაოების შესრულების დროს;

7. სამუშაო პროცესის დროს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან გააკონტროლონ სპეცსაშუალებების სწორი გამოყენება და არ დაუშვან დასაქმებულები სამუშაო ადგილზე, ხოლო სხვა პირები ობიექტის ტერიტორიაზე არსებულ ხიფათშემცველ ზონებში სპეცსაშუალებების გარეშე;
8. სამორიგეო და გაცვეთამდე გაცემული სპეცსაშუალებების გამოყენების ვადა განისაზღვრება მათი ფაქტიური მდგომარეობიდან გამომდინარე და დამოკიდებულია ადგილობრივ ფაქტორებზე და სამუშაოს ტიპზე;
9. სამორიგეო სპეცსაშუალებები გაიცემა მხოლოდ იმ სამუშაოს შესასრულებლად, რისთვისაც არიან განსაზღვრულნი;
10. ისეთი სპეცსაშუალებების გაცემის დროს, რომლებიც დასაქმებულისგან მოითხოვს სპეციალურ უნარ-ჩვევებს (აირწინალები, დამცველი ქაშები და ა.შ.) თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელი პირები უზრუნველყოფენ შესაბამისი ინსტრუქტაჟის ჩატარებას;
11. სპეცსაშუალების დაკარგვის/დაზიანების შემთხვევებში დასაქმებულის ან მისი ხელმძღვანელის მიერ დაუყოვნებლივ ფორმდება მომხდარის შესახებ ახსნა-განმარტების წერილობითი დოკუმენტი, რომელიც გადაეცემა შრომის უსაფრთხოების სამსახურს;
12. დასაქმებულის მიზეზით სპეცსაშუალების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მას ეკისრება აღნიშნული სპეცსაშუალების საბაზრო ღირებულების შესაბამისი თანხის გადახდა;
13. იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებული განთავისუფლდა, შეიცვალა სამუშაო სპეციფიკა, რომელ პოზიციაზედ არ არის გათვალისწინებული მასზე გაცემული სპეცსაშუალება, ან დაასრულა სამუშაო, რომელიც ითვალისწინებდა სამორიგეო სპეცსაშუალების გამოყენებას, ვალდებულია დააბრუნოს მასზე გაცემული ინდივიდუალური დაცვის საშუალება მიღება- ჩაბარების აქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული სპეცსაშუალება აკმაყოფილებს ექსპლუატაციაში გამოყენების მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში დასაქმებულზე სპეცსაშუალების საბაზრო ღირებულების შესაბამისად გადასახდელი თანხის დაკისრების საკითხს წყვეტს კომპანიის ხელმძღვანელი;
14. ობიექტზე მყოფ სხვა პირს გამოსაყენებლად გადაეცემა შემდეგი სამორიგეო სპეცსაშუალებები: დამცავი ჩაფხუტი (ჩაჩქანი) და სასიგნალო ჟილეტი. სხვა პირებზე ასევე გაიცემა უნიფორმა (ან მისი შემადგენელი ცალკეული ნაწილები) და ფეხსაცმელი, თუ მათი ტანსაცმელი ან ფეხსაცმელი არ აკმაყოფილებს ობიექტზე ყოფნისას უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს;
15. იმ სამუშაოზე დასწრებისას, რომელიც მოითხოვს დაცვის სხვა საშუალებებს, სხვა პირზე დროებით სარგებლობაში გადაეცემა შესაბამისი დაცვის საშუალება, მისი გამოყენების ინსტრუქტაჟის გატარების შემდეგ.

## VII. სპეციფიური სამუშაოები

1. სპეციფიურ სამუშაოებთან დაკავშირებით, უსაფრთხოების ინსტრუქციებს შეიმუშავებს მთავარი ინჟინერი და შრომის უსაფრთხოების მენეჯერი და ამტკიცებს დირექტორი.

2. უსაფრთხოების ინსტრუქციების შემუშავებისას ხდება ტექნიკური რეგლამენტების, საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკებისა და კომპანიაში არსებული სპეციფიკისა და ფაქტობრივი სიტუაციის გათვალისწინება. ინსტრუქციების შემუშავებაში ასევე მონაწილეობენ კომპანიის გამოცდილი თანამშრომლები.

## **IX. დასკვნითი დებულებები**

1. შრომის უსაფრთხოების წესს ამტკიცებს დირექტორი.
2. შრომის უსაფრთხოების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება დირექტორის მიერ.
3. ეს წესი ეცნობა კომპანიის ყველა თანამშრომელს.

## **მმართველობითი პასუხისმგებლობების განაწილება**

### **I. ორგანიზაციის მმართველი რგოლი (დირექტორი) ვალდებულია:**

1. დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა შრომის უსაფრთხოების სფეროში.
2. მუდმივ რეჟიმში იზრუნოს სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და სრულყოფაზე.
3. საწარმო აღჭურვოს შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით.
4. გასწიოს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან და სანიტარიულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.
5. აწარმოოს სამუშაო პროცესიდან გამომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირება და რისკების შეფასება, განახორციელოს მუდმივი კონტროლი.
6. შრომის უსაფრთხო პირობების გაუმჯობესებისათვის, იზრუნოს ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და არსებული ტექნოლოგიური მოწყობილობების მოდერნიზაციაზე.
7. თანამშრომელთა შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნის მიზნით უზრუნველყოს პერსონალის სწავლების ორგანიზება.
8. უზრუნველყოს კომპანიის თანამშრომლებზე შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების გაცნობა. ინდივიდუალური და კოლექტიური დამცავი საშუალებების შესყიდვა.
9. უბედური შემთხვევების პოტენციური რისკების აღმოფხვრის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი

ღონისძიებების გატარება.

10. უბედური შემთხვევების მოხდენის შემთხვევაში, უზრუნველყოს შესაბამის საზედამხედველო ორგანოებთან დაუყოვნებლივი შეტყობინება, მოკვლევა, აღირცხვა და ანგარიშგების წარმოება.

11. პროფესიული დაავადებების დადგენის შემთხვევაში, უზრუნველყოს შესაბამის საზედამხედველო ორგანოებთან დაუყოვნებლივი შეტყობინება, მოკვლევა, აღირცხვა და ანგარიშგების წარმოება.

12. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყოს მუშა- მოსამსახურეთა აუცილებელი წინასწარი (სამუშაოს დაწყებისას) და პერიოდული (შრომითი საქმიანობის განმავლობაში) სამედიცინო შემოწმება.

13. ორგანიზაციის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს აღნიშნული პოლიტიკის გატარებას და დასაქმებულებისგან მოითხოვს თავიანთ შრომით საქმიანობაში დაიცვან შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები.

## **II. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ახორციელებს:**

1. შრომის უსაფრთხოების წესებისა და ინსტრუქციების შესრულების კონტროლს;

2. სამუშაოთა უსაფრთხო შესრულების კონტროლს: (შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის, ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვა, ტექნოლოგიური აღჭურვილობის გამართულობაზე კონტროლი; ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამართულად და სწორად გამოყენების კონტროლი, ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვის კონტროლი და ა.შ)

3. შესავალი ინსტრუქტაჟის დროულ ჩატარებას, ასევე სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟებისა და სწავლების ჩატარების კონტროლი;

4. უბედური შემთხვევის მოკვლევისა და საწარმოო ტრავმატიზმის მიზეზების დადგენის მიზნით ღონისძიებათა გატარებას.

5. სამუშაოს მწარმოებელზე/ჯგუფის უფროსებზე მიწერილობის გაცემას შრომის უსაფრთხოების წესების, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ტარების, მოთხოვნების დარღვევების აღმოსაფხვრელად და შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სხვა აუცილებელი ღონისძიებების შესახებ;

6. სამუშაოს მწარმებელის/ჯგუფის უფროსების მიერ, დარღვევების იგნორირების შემთხვევაში ზემდგომი ხელმძღვანელის ინფორმირებას;

7. კომპანიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ობიექტებზე სამუშაოების წარმოების შეწყვეტას, თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის ჯანმრთელობას.

8. მუშა-მოსამსახურეების სპეც. ტანსაცმლით და სხვა აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით დროულ მომარაგებაზე კონტროლს.

9. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამის კომისიებში, ტრენინგებში, სწავლებებში და ა.შ. მონაწილეობის მიღება.

10. მონიტორინგი გაუწიოს იმ პირის საქმიანობას, რომელიც პასუხისმგებელია ობიექტზე დასაქმებულის ან/და სხვა პირის, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმყოფება, სამუშაოზე არ დაშვებაზე.

### **III. ჯგუფის უფროსები (ბრიგადირი, ცვლის უფროსი, ოსტატი)**

ჯგუფის უფროსები წარმოადგენენ კომპანიის მნიშვნელოვან რგოლს, რამდენადაც ისინი არიან შესაბამისი ხელმძღვანელების წარმომადგენლები სამუშაო ადგილებში და სამუშაო პროცესების წარმოებისას უშუალო კონტაქტი აქვთ წარმოების მუშა- მოსამსახურებთან. ჯგუფის უფროსებმა უნდა გააცნობიერონ სამუშაოების უსაფრთხოდ და ეფექტურად წარმოების მნიშვნელობა.

1. ჯგუფის უფროსი ვალდებულია უზრუნველყოს თანამშრომელთა უსაფრთხოება სამუშაოების ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებისას; გადამტვირთავი მანქანების, მოწყობილობების ექსპლიატაციისას; საწარმოო ინსტრუმენტების, აღჭურვილობისა და დანადგარების გამოყენებისას.

2. ჯგუფის უფროსი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ტარების მოთხოვნების დაცვა.

3. ჯგუფის უფროსი ვალდებულია შესასრულებელ სამუშაო ობიექტზე არ დაუშვას პირი, რომელიც არღვევს შრომის უსაფრთხოებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ტარების მოთხოვნებს.

4. ჯგუფის უფროსი ვალდებულია უზრუნველყოს თანამშრომლების ინფორმირება სამუშაო ადგილებში შრომის უსაფრთხო პირობებზე და იმ მოსალოდნელ რისკებზე, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

5. ჯგუფის უფროსი ავარიული სიტუაციის წარმოქმნისას, ვალდებულია უზრუნველყოს თანამშრომლების ინფორმირება სამუშაო ადგილებში შრომის უსაფრთხო პირობებზე და იმ

მოსალოდნელ რისკებზე, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

6. ავარიული სიტუაციის წარმოქმნისას, მაშინ როდესაც ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ექმნება საფრთხე, ჯგუფის უფროსი ვალდებულია სიტუაციის აღმოფხვრამდე შეაჩეროს სამუშაოები. არსებულ სიტუაციაზე მოახდინოს ჯგუფის უფროსისა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ინფორმირება.

7. სამუშაო ობიექტზე მომხდარი უბედური შემთხვევის დროს, ჯგუფის უფროსი ვალდებულია უზრუნველყოს დაზარალებულის პირველადი დახმარების გაწევა, მის ხელთ არსებული საშუალებებით. (სამედიცინო და სამაშველო ბრიგადების მობილიზება და სხვა.)

#### **IV. ორგანიზაციის მუშა-მოსამსახურეები (დასაქმებულები)**

ორგანიზაციის ფუნქციონირების გადამწყვეტ რგოლს წარმოადგენენ დასაქმებულები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქტის შექმნას. ყველაზე დიდი წილი მათი შრომისა დაკავშირებულია უსაფრთხო სამუშაო გარემოსთან. ამასთან, დასაქმებულები ვალდებულნი არიან:

1. დაიცვან შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები, წესები და ინსტრუქციები;
2. სწორად გამოიყენონ და მოუარონ ინდივიდუალურ დამცავ საშუალებებს;
3. არ დაუშვან ინდივიდუალური დაცვის საშუალებების განზრახ დაზიანება;
4. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების დაზიანების, შეკეთების ან გამოცვლის შესახებ აცნობოს სამუშაოთა მწარმოებელს.
5. გაიარონ სწავლება სამუშაოების შესრულების უსაფრთხო მეთოდებზე და წესებზე, ინდივიდუალური დამცავი საშუალებების სწორ გამოყენებაზე და მოვლაზე.
6. დაუყოვნებლივ აცნობონ უშუალო ხელმძღვანელს/ზემდგომს იმ რისკებზე, რომელიც საფრთხეს უქმნის სამუშაო ადგილებზე ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ავარიულ სიტუაციებზე, უბედურ შემთხვევებზე, საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაზე.
7. თავი შეიკავონ გაუფრთხილებელი და დაუდევარი ქმედებებისგან, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ავარია ან უბედური შემთხვევა.
8. დაიცვას დამსაქმებლის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, საწარმოო ექიმისა და ზედამხედველი ორგანოს განკარგულებები, მითითებები და რეკომენდაციები შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

9. არ გამოცხადდეს სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და სამუშაოს შესრულებისას არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები;

10. დაემორჩილოს სამუშაო სივრცეში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს;

11. თვითნებურად არ გამორთოს, არ შეცვალოს ან არ მოხსნას სამუშაო ტექნიკის, აპარატის, ინსტრუმენტის, დანადგარის ან აღჭურვილობის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დამცავი მოწყობილობები და აღნიშნული მოწყობილობები დანიშნულებისამებრ გამოიყენოს;

12. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოიყენოს ინსტრუქციების შესაბამისად და დააბრუნოს მათთვის განკუთვნილ ადგილზე;

## სახანძრო უსაფრთხოების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილების საფუძველზე.

2. წინამდებარე წესი ადგენს „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“ (შემდგომში - კომპანია) ქვევის სავალდებულო წესებს, რომლის დაცვა და შესრულება სავალდებულოა კომპანიის თანამშრომლებისათვის და ხელშეკრულებით კომპანიასთან დაკავშირებული ორგანიზაციების თანამშრომლებისათვის, რომელთაც სამსახურებრივ ფუნქციებს ასრულებენ კომპანიის ტერიტორიაზე.

### მუხლი 2. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

1. სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე მონიტორინგს ახორციელებს და წინამდებარე წესით დადგენილი ღონისძიებების შესრულება ევალება კომპანიის შრომის უსაფრთხოების სამსახურს.

2. კომპანიაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული არის საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება.

3. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკური საშუალებების ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად კომპანიის დირექტორი ნიშნავს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების



ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელ პირს.

4. კომპანიის დირექტორი განსაზღვრავს ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების შენახვასა და მოქმედებისთვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელ პირს.

5. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან დროულად და სათანადოდ უზრუნველყონ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება.

6. პასუხისმგებლობა წინამდებარე წესით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე უშუალოდ სამუშაო ადგილებზე ეკისრებათ კომპანიის თანამშრომლებს.

7. თანამშრომლები, რომლებსაც ევალებათ კომპანიაში ხალხმრავალი ღონისძიებების ჩატარება, ვალდებული არიან ღონისძიებების დაწყებამდე ყურადღებით დაათვალიერონ სათავსები და დარწმუნდნენ მათ უსაფრთხოებაში ხანძარსაწინააღმდეგო თვალსაზრისით.

8. კომპანიას ყველა თანამშრომელი ვალდებულია:

ა) დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები;

ბ) სამუშაოს დასრულების შემდეგ გამორთოს პერსონალური კომპიუტერი ან/და სხვა ელექტროხელსაწყოები;

გ) სამუშაოს დამთავრების შემდეგ ოთახის დაკეტვის წინ ჩაატაროს დათვალიერება, გამორთოს ელექტროხელსაწყოები და განათება;

დ) დაიცვას უსაფრთხოების ზომები ადვილად აღებადი და წვადი სითხეების და აირების, სხვა ხანძარსაშიში ნივთიერებების, მასალების და მოწყობილობების გამოყენებით სამუშაოების შესრულებისას;

ე) იცოდეს ხანძრის დროს ევაკუაციის გეგმა და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილები; ვ) იცოდეს ცეცხლმაქრებით სარგებლობის ხერხები;

ზ) არ ჩახერგოს საევაკუაციო გზები და გასასვლელები;

9. თანამშრომლებს ეკრძალებათ:

ა) სათავსებში ადვილად აღებადი, წვადი და ფეთქებადი ნივთიერებების შენახვა; ბ) თამბაქოს მოწევა კომპანიას ტერიტორიაზე;

გ) კომპანიას შენობაში ქაღალდების ან სხვა ადვილად აალებადი ნივთიერებების ღია მდგომარეობაში დაყრა;

დ) კომპანიაში ღია ცეცხლის გამოყენება;

ე) არაქარხნული წესით დამზადებული და გაუმართავი ელექტროხელსაწყოებისა და ელექტროინსტრუმენტების გამოყენება;

ვ) ქსელში ჩართული ელექტროხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება.

### **მუხლი 3. უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა ვალდებულება**

1. ხანძრის გაჩენის შემთხვევაში უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა მოქმედებები უნდა იყოს

მიმართული ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მათ დროულ ევაკუაციაზე.

2. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის უსაფრთხოების სამსახურის ყველა თანამშრომელი ვალდებულია:

ა) იცოდეს ელექტროენერჯის მოწოდების წყარო, მისი საერთო გამომრთველის ადგილმდებარეობა, ხოლო ხანძრის ან ასეთის წარმოქმნის საშიშროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გათიშოს ელექტროენერჯის მოწოდების წყარო.

ბ) იცოდეს ცეცხლმაქრი სისტემების გამოყენება, მათი ვარგისიანობის ვადა და შევსების დრო, ასევე პერიოდულად უნდა ამოწმებდეს ცეცხლმაქრების მდგომარეობას.

გ) მონაწილეობა მიიღოს ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის პროცესში.

დ) შენობიდან გასვლის წინ შეამოწმოს კომპანიას მთლიანი შენობა, გამორთოს ელექტროენერჯია, გამართულ მდგომარეობაში დატოვოს სიგნალიზაცია.

ე) ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, მათი მოქმედება მიმართული უნდა იყოს ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მათ დროულ ევაკუაციაზე; დროულად მიუთითოს ადამიანებს საევაკუაციო გასასვლელ(ებ)ისკენ.

ვ) მის ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოყენებით განახორციელოს ცეცხლის ქრობა და მისი ლოკალიზება, თუ ეს არ აღემატება მის შესაძლებლობებს; გამოიძახოს სახანძრო-სამაშველო სამსახური ასეთის საჭიროების შემთხვევაში.

ზ) ადგილზე მოსულ მაშველებს მოახსენოს საქმის ვითარებისა და მათთან ერთად განაგრძოს ცეცხლის ქრობა. მიაწოდონ ინფორმაცია ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელს შენობის კონსტრუქციული თავისებურებების, სათავსებში არსებული ნივთიერებებისა, მასალების ხანძარსაშიში თვისებების შესახებ.

#### **მუხლი 4. ხანძრის შემთხვევაში კომპანიას თანამშრომლების მოქმედების წესი**

1. კომპანიაში ხანძრის ან წვის ნიშნების (დაკვამლიანების, დამწვრის სუნის, ტემპე- რატურის აწევის და ა.შ.) აღმოჩენის შემთხვევაში კომპანიას თითოეული თანამშრომელი ვალდებულია:

ა) შეწყვიტოს სამუშაო, დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ სახანძრო-სამაშველო სამსახურს ტელეფონით “112” და მორიგე ჯგუფს (ამასთან აუცილებელია დაასახელოს ობიექტის მისამართი, ხანძრის გაჩენის ადგილი);

ბ) შეძლებისდაგვარად მონაწილეობა მიიღოს ადამიანთა ევაკუაციაში, მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენასა და ხანძრის ჩაქრობაში;

გ) გათიშოს დენის წყაროდან სათავსში არსებული, მასზე განპიროვნებული ელექტროდანადგარები და ხელსაწყოები;

დ) მომხდარის თაობაზე შეატყობინოს კომპანიას ადმინისტრაციას, ასევე აცნობოს გარშემო მყოფ მოსამსახურეებს;

ე) საშიშროების საერთო განკარგულების მიღებისას დატოვოს კომპანია.

2. კომპანიაში ხანძრის შემთხვევაში ევაკუაცია ხორციელდება N1 დანართით გათვალისწინებული

ინსტრუქციის მიხედვით.

## **მუხლი 5. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი**

1. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უტარდება კომპანიის თანამშრომლებს სახანძრო უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებების, აგრეთვე ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მათი ამოქმედების წესის შესწავლის მიზნით.

2. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება კომპანიას დირექტორის მიერ განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, ამ წესის შესაბამისად.

3. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარება ითვალისწინებს კომპანიას თანამშრომელთა გაცნობას:

ა) კომპანიას ტერიტორიის, შენობის, მათ შორის, სპეციალური გზების, შიდა და გარე წყალსადენის, ხანძრის შესახებ მაუწყებლობის სისტემების მიმართ დადგენილ მოთხოვნებსა და ადამიანთა ევაკუაციის პროცესის მართვასთან;

ბ) ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარების წესებთან;

გ) ხანძრის დროს თანამშრომელთა ვალდებულებებსა და მოქმედებებთან, სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახების წესებთან, ხანძრის ჩაქრობის საშუალებების და სახანძრო ავტომატიკის დანადგარების გამოყენების მოთხოვნებთან.

4. ხასიათის და ჩატარების პერიოდულობიდან გამომდინარე, დადგენილია შემდეგი სახის ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი: საწყისი, განმეორებითი და მიზნობრივი.

5. საწყისი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უტარდება:

ა) სამსახურში ახლად მიღებულ ყველა თანამშრომელს, მიუხედავად განათლებისა და პროფესიით (თანამდებობაზე) მუშაობის სტაჟისა;

ბ) კომპანიაში სტაჟირებაზე/პრაქტიკაზე მიღებულ პირებს.

6. საწყისი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) მონაცემებს ობიექტის (წარმოების) ხანძარ და ფეთქებადსაშიში პირობების სპეციფიკის და თავისებურებების შესახებ;

ბ) თანამშრომლების მოვალეობებს და პასუხისმგებლობას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე;

გ) ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის გაცნობას;

დ) ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის დაცვის თაობაზე ბრძანებების, სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციების, სამუშაო ადგილზე, საცხოვრებელ სათავსებში მომხდარი ან სავარაუდო ხანძრების ძირითადი მიზეზების გაცნობას;

ე) სახანძრო პროფილაქტიკის ზოგად ზომებს და ხანძრის ჩაქრობაზე მიმართულ ძირითად მოქმედებებს.

7. განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უტარდება კომპანიას მოქმედ თანამშრომლებს არანაკლებ წელიწადში ერთხელ, პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის პროგრამის მიხედვით.

8. განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის დროს მოწმდება თანამშრომლების მიერ ობიექტში დადგენილი ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის მოთხოვნების, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების, ევაკუაციის გზების გამოყენების ცოდნა. განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება:

ა) სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანის და ახალი დოკუმენტების შემუშავების შემთხვევაში;

ბ) კომპანიაში ინფრასტრუქტურის, მოწყობილობის, სისტემების მოდერნიზაციის შემთხვევაში;

გ) თანამშრომლების მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევისას, რომლებმაც გამოიწვიეს ან შეიძლება გამოიწვიონ ხანძარი;

დ) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ავარიების, ხანძრების შესახებ ცნობების მიღებისას;

ე) თანამშრომლების მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების არასათანადო ცოდნის შემთხვევაში.

9. მონაცემები საწყისი, განმეორებითი და მიზნობრივი ინსტრუქტაჟის გავლის შესახებ შეიტანება

„სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალში“ (დანართი N2), იმ პირების ხელმოწერით, რომლებმაც ჩაატარეს და გაიარეს ინსტრუქტაჟი.

10. კომპანიაში არანაკლებ ნახევარ წელიწადში ერთხელ ტარდება ხანძრის დროს პერსონალის მოქმედებების გავარჯიშება შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის ყველა ელემენტის გამართული მუშაობის შემოწმების პარალელურად.

#### **მუხლი 6. პასუხისმგებლობა სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის**

1. კომპანიას პერსონალი ვალდებულია მკაცრად დაიცვას დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების წესი და დაემორჩილოს კომპანიას უსაფრთხოების თანამშრომლის მითითებებს;

2. პირის მიმართ, რომელიც დაარღვევს სახანძრო უსაფრთხოების წესებს გამოყენებული იქნება შესაბამისი ზომები.

#### **მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი**

1. ამ წესს ამტკიცებს დირექტორი.

2. ამ წესში ცვლილებების შეტანა ხდება დირექტორის მიერ.

3. ეს წესი ეცნობა კომპანიის ყველა თანამშრომელს.

დანართი N1

**ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედებების ინსტრუქცია**

№	მოქმედებების დასახელება	მოქმედებების წესი და თანმიმდევრობა	შემსრულებელი
1	შეტყობინება ხანძრის შესახებ	სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახება ნომერზე - "112"	პირი, რომელმაც აღმოაჩინა ხანძარი
2	მაუწყებლობა ხანძრის შესახებ	ხანძრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შენობაში მყოფი ადამიანებისათვის	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
3	ადამიანთა ევაკუაცია შენობიდან	ადამიანების ორგანიზებული გაყვანა ევაკუაციის გეგმის მიხედვით	შრომის უსაფრთხოების სამსახური
4	ევაკუირებულთა აღრიცხვა	ევაკუირებული ადამიანების თავმოყრა სპეციალურად გათვალისწინებულ თავშეყრის ადგილზე, მათი აღრიცხვა, ვინაობის და რაოდენობის ფიქსირება	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი
5	ხანძრის ჩაქრობა და ქონების ევაკუაცია	ხანძრის ჩაქრობის სამუშაოების ორგანიზება მისი აღმოჩენის მომენტიდან სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისვლამდე; შეძლებისდაგვარად მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი კომპანიის ადმინისტრაცია
6	სახანძრო-სამაშველო დანაყოფის დახვედრა	სახანძრო-სამაშველო სამსახურების დახვედრა, ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელისათვის შექმნილი ვითარების შესახებ ინფორმაციის გადაცემა	შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

დანართი N2

განყოფილება

ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის

ქ უ რ ნ ა ლ ი

დაიწყო “ \_\_\_\_\_ ” 2019

თარიღი	პირი, რომელსაც ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი (გვარი, სახელი, თანამდებობა)	დაბადების წელი	ინსტრუქტაჟის სახეობა	ინსტრუქტორის გვარი, სახელი თანამდებობა	ხელმოწერა	
					პირი, რომელსაც ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი	ინსტრუქტორი
2		3	4	5	6	7

## ელექტრო უსაფრთხოების ინსტრუქცია

### I. ზოგადი დებულებანი

- წინამდებარე ინსტრუქცია განსაზღვრავს „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“-ს ელექტრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნებსა და ელექტრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პირების თანამდებობრივ ინსტრუქციებს.
- წინამდებარე ინსტრუქცია ამომწურავად არ მოიცავს სპეციფიური სამუშაოების უსაფრთხოების ყველა საკითხს. კომპანიის თანამშრომლები ვალდებული არიან დაიცვან სხვადასხვა გამოსაყენებელი ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების ტექნიკური ინსტრუქციები, ასევე ტრენინგებზე და ინსტრუქტაჟებზე შესწავლილი წესები და მოთხოვნები.

### II. ელექტრო უსაფრთხოების მოთხოვნები

- გადასატანი ელექტროინსტრუმენტებით და ხელის ელექტრული მანქანებით სამუშაოდ დაიშვება შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი - პერსონალინ ვისაც აქვს ელემენტარული ტექნიკური ცოდნა ელექტრომოწყობილობების შესახებ, ელექტრომოწყობილობებთან მუშაობის უსაფრთხოების წესების ცოდნა, მკაფიო წარმოდგენა ელექტროდენით გამოწვეულ და დენგამტარ ნაწილებთან მიახლოების საფრთხეებზე.
- გადასატანი ელექტროინსტრუმენტის და ხელის ელექტრული მანქანით სამუშაოების ჩატარება დასაშვებია ელექტროდამცავი საშუალებებიდან (დიელექტრიკული ხელთათმანები, საფენები, ქვესადებები, ბოტები, კალოშები) ერთ-ერთის გამოყენებით მაინც ან ელექტროდამცავი საშუალების გამოუყენებლად, თუ ამ დროს მხოლოდ ერთი ელექტრომიმღები (მანქანა ან ინსტრუმენტი) იღებს

კვებას გამყოფი ტრანსფორმატორიდან, ავტონომიური ძრავა-გენერატორის დანადგარიდან, გამყოფ-გრაგნილებიანი სიხშირის გარდამსახიდან ან დამცავი გამორთვის მოწყობილობის გავლით.

3. დისკოიანი ინსტრუმენტები აღჭურვილი უნდა იყოს დამცავი გარსაცმით.

4. მომეტებული საფრთხის და განსაკუთრებით საშიშ შემთხვევებში გადასატანი ელექტრული სანათების ძაბვა არ უნდა იყოს 50 ვოლტზე მეტი. განსაკუთრებით არახელსაყრელ პირობებში (ქვაბების დოლებში, კვმ-ის ნაკვეთურებში, მეტალის რეზერვუარებში და სხვა ამგვარში) მუშაობისას გადასატანი სანათების ძაბვა არ უნდა იყოს 12 ვოლტზე მეტი.

5. ხელის ელექტრული მანქანებით, გადასატანი ელექტროინსტრუმენტებით და სანათებით მუშაობის დაწყებამდე საჭიროა:

ა) დეტალების კომპლექტურობისა და მათი დამაგრების საიმედოობის შემოწმება;

ბ) მკვებავი კაბელის (შნურის), მისი დამცავი მილის და საშტეფსელო ჩანგლის წესრიგში ყოფნის, კორპუსის საიზოლაციო დეტალების, სახელურის და მუსების დამჭერის სახურავების, დამცავი გარსაცმების გამართულობაში დარწმუნება გარეგანი დათვალიერებით;

გ) ამომრთველის მუშაობის ვარგისიანობის შემოწმება;

დ) დამცავი გამორთვის მოწყობილობის ტესტირება (აუცილებლობის შემთხვევაში); ე) ელექტროინსტრუმენტის ან მანქანის მუშაობის შემოწმება უქმ სვლაზე;

6. დაუშვებელია ხელის ელექტრული მანქანების, გადასატანი ელექტროინსტრუმენტების და სანათების გამოყენება, თუ მათზე ან მათ დამხმარე მოწყობილობებზე აღმოჩნდა დეფექტები და არა აქვთ გავლილი პერიოდული შემოწმება.

7. ელექტროინსტრუმენტების, ხელის ელექტრული მანქანების, გადასატანი სანათების გამოყენებისას მათი სადენები და კაბელები შეძლებისდაგვარად უნდა იყოს დაკიდებული. დაუშვებელია სადენების და კაბელების უშუალო შეხება ცხელ, ნესტიან და ზეთიან ზედაპირებთან ან საგნებთან. ელექტროინსტრუმენტის კაბელი დაცული უნდა იყოს შემთხვევითი მექანიკური დაზიანებისაგან.

8. ძაბვის გაქრობისას ან მუშაობაში შესვლებისას ელექტროინსტრუმენტები და ხელის ელექტრული მანქანები უნდა გამოირთოს ელექტრული ქსელიდან.

9. მომუშავეებს, რომლებიც იყენებენ ელექტროინსტრუმენტებს და ხელის ელექტრულ მანქანებს, ეკრძალებათ:

ა) ხელის ელექტრული მანქანების ელექტროინსტრუმენტების, თუნდაც მცირე დროით, სხვა მომუშავეებზე გადაცემა;

ბ) ხელის ელექტრული მანქანების და ელექტროინსტრუმენტების დაშლა და რაიმე რემონტის ჩატარება;

გ) ელექტრული მანქანის, ელექტროინსტრუმენტის სადენებით გამაგრება, მბრუნავ ნაწილებთან შეხება ან ბურბუშელის, ნახერხის, ნაქლიბის მოცილება მათ სრულ გაჩერებამდე;

დ) ინსტრუმენტის, მანქანის მასრაში მუშა ნაწილის ჩადება ან ამოღება, აგრეთვე ინსტრუმენტის რეგულირება მისი ქსელიდან გამორთვის გარეშე;

ე) მისადგმელი კიბეებით მუშაობა. სიმაღლეზე სამუშაოების დროს უნდა მოეწყოს მყარი ხარაჩოები ან ხიდურები;

ვ) ქვაბების დოლებში, მეტალის რეზერვუარებში და ა.შ. გადასატანი ტრანსფორმატორების და სიხშირის

გარდამქმნელების შეტანა.

10. აკრძალულია:

- ა) ელექტროსადენების და კაბელების გადაბმების და ბოლოების იზოლაციის გარეშე დატოვება;
- ბ) დროებითი ელექტროგაყვანილობის და ელექტროხელსაწყოების კვებისათვის დამაგრებელი ელექტროსადენების გამოყენება, თუ მათი დანიშნულება არ არის განპირობებული საავარიო და დროებითი სამუშაოების წარმოებით;
- გ) ელექტროქსელში ჩართული ელექტროგამაცხელებელი ხელსაწყოების, აგრეთვე სხვა საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება (მათ შორის, „მოლოდინის“ რეჟიმში), გარდა ელექტროხელსაწყოებისა, რომელთა სადღეღამისო მუშაობის რეჟიმი გათვალისწინებულია ქარხანა-დამამზადებლის ინსტრუქციით;
- დ) სამუშაო საათების დასრულების შემდეგ ელექტროდანადგარების და საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების ელექტროქსელში ჩართულ მდგომარეობაში დატოვება იმ სათავსებში, სადაც არ იმყოფება მორიგე პერსონალი, გარდა მორიგე განათებისა, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა, სხვა ელექტროდანადგარებისა და ელექტროტექნიკური ხელსაწყოებისა, რომელთა მუშაობა განპირობებულია მათი ფუნქციონალური დანიშნულებით და/ან გათვალისწინებულია მათი ექსპლუატაციის ინსტრუქციით.

11. ელექტროსამშენებლო სამუშაოზე დაიშვება 18 წელს მიღწეული შესაბამის კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელსაც გავლილი აქვს სათანადო მომზადება.

12. ელექტროსამშენებლო დანადგარის მუშაობის დროს უნდა იყოს დამიწებული. ძირითადი სამშენებლო მოწყობილობების გარდა დამიწებული უნდა იყოს უშუალოდ ტრანსფორმატორის ის სამშენებლო მეორადი გრაგნილის მომჭერი, რომელზეც შეერთებულია უკუგამტარი.

13. ელექტროტექნიკური მოწყობილობების გამოყენებამდე საჭიროა იზოლაციის შემოწმება, ხოლო გამოყენებისას - ექსპლუატაციის წესების დაცვა. მუშებს უნდა ჰქონდეთ სხეულის ღია ნაწილების დამცავი საშუალებები.

14. ელექტროშესადულებელ აპარატებსა და მათ მკვებავ წყაროებში გათვალისწინებული და დაყენებული უნდა იყოს ძაბვის ქვეშ მყოფი ელემენტების საიმედო შემოღობვა.

15. დახურულ სათავსოში ელექტროსამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში სამუშაო ადგილები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ვენტილაციით ან განიავებით.

16. პერსონალს უტარდება პერიოდული სწავლება წელიწადში ერთხელ ან წარმოების მენეჯერის/შრომის უსაფრთხოების მენეჯერის გადაწყვეტილებით ტექნოლოგიური ცვლილებების ან ელექტროუსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

### III. დასკვნითი დებულებანი

- 1. ამ ინსტრუქციას ამტკიცებს დირექტორი.
- 2. ამ ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანა ხდება დირექტორის მიერ.
- 3. ეს ინსტრუქცია ეცნობა კომპანიის ყველა თანამშრომელს.



# რისკების შეფასებისა და მართვის მეთოდოლოგია

## შესავალი

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“ (შემდგომში - ორგანიზაცია) რისკებისა და საფრთხეების განსაზღვრის მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს და შექმნილია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - კანონი), სხვა კანონქვემდებარე აქტებისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად.

რისკების შეფასება არის შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპის ნაწილი.

რისკისა და საფრთხის შეფასება ხორციელდება არა შერჩევის პრინციპით, არამედ მთელი დაწესებულების მასშტაბით, მის ყველა სტრუქტურულ, თუ ორგანიზაციულ დონეზე. ამასთან, საუკეთესო შედეგის მისაღებად რისკები შეფასება სავალდებულოა საქმიანობის განხორციელებისა, თუ დასახული ამოცანის შესრულების დაწყებამდე.

## 1. რისკის არსი და მისი განსაზღვრება

რისკი არის იმ შედეგის დადგომის ალბათობა, რომელიც წარმოადგენს გადახრას დაგეგმილი/მოსალოდნელი შედეგიდან და უარყოფითად მოქმედებს ორგანიზაციის მიზნების მიღწევაზე.

რისკი განისაზღვრება შემდეგი მახასიათებლების კომბინაციით:

ა) მოხდენის ალბათობა; ბ) პოტენციური შედეგი.

მოხდენის ალბათობისა და შედეგის კომბინაცია განსაზღვრავს კონკრეტული რისკის მნიშვნელობის დონეს და ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე იძლევა პრიორიტეტების მიხედვით, რისკის დახარისხების საშუალებას.

პირველ რიგში, უნდა განიხილებოდეს და იმართებოდეს რისკები, რომელთა მოხდენის ალბათობა და შედეგი ყველაზე მაღალია. რიგითობით ყოველი შემდეგი უნდა იყოს რისკი ნაკლები მოხდენის ალბათობითა და შედეგით. პრაქტიკაში ეს პროცესი გაცილებით რთულია, რადგან არსებობენ რისკები, რომელთა მოხდენის ალბათობა არის მაღალი, მაგრამ დაბალია შედეგი და/ან პირიქით. ასეთ შემთხვევებში უნდა განხორციელდეს რისკების პრიორიტეტებად დალაგება დაწესებულების მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე, რათა არ მოხდეს შეცდომის დაშვება.

## 2. რისკების შეფასების მართვა

რისკის მართვა წარმოადგენს საფრთხეების იდენტიფიცირების, შეფასების, მონიტორინგის და რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით საჭირო კონტროლის ღონისძიებების გატარების პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე და გულისხმობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას რისკის შემცირების მიზნით.

რისკის მართვა წარმოადგენს ორგანიზაციის სტრატეგიული მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს.

რისკის მართვის მთავარი ამოცანაა მოახდინოს რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს პოტენციური დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს ორგანიზაციის საქმიანობაზე.

ორგანიზაციის ზოგადი რისკის შეფასება უნდა გამოხატავდეს არსებულ საფრთხეებს და ზოგადი კონტროლის ზომებს. პირველ რიგში უნდა დასრულდეს ასეთი რისკის შეფასება და შემდეგ უფრო კონკრეტული რისკის შეფასებები, რომლებიც შეისწავლიან ინდივიდუალურ საქმიანობებს.

რისკების შეფასების პროცესის ხუთი საფეხურია:

#### საფრთხეების იდენტიფიცირება

იმის განსაზღვრა, თუ ვინ შეიძლება იქნას დაზარალებული და როგორ

რისკებისა გაანალიზება და იმის განსაზღვრა არის თუ არა არსებული კონტროლის ზომები ადეკვატური ან საჭიროა თუ არა მეტი გაკეთება

მნიშვნელოვანი დასკვნების ჩანაწერების გაკეთება, მონაცემთა დოკუმენტირება

შეფასებების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში განხილვა

მნიშვნელოვანია, რომ რისკების შეფასების გუნდი/ჯგუფი უნდა შეირჩეს მისი კომპეტენციის საფუძველზე, რისკის შესაფასებლად კონკრეტულ სფეროებში, რომელიც შემოწმდება ორგანიზაციაში. ჯგუფის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კომპეტენცია შრომის უსაფრთხოების საკითხებში, გავლილი უნდა ჰქონდეს სათანადო მომზადება. შეფასების ჯგუფში ჩართული უნდა იყოს შესაბამისი ხაზის/მიმართულების ხელმძღვანელი, რომელიც, პასუხისმგებელია/ხელმძღვანელობს შესაფასებელ პროცესს ან საქმიანობას. ჯგუფის სხვა წევრები შეირჩევიან გამოცდილების, საინჟინრო-ტექნიკური და/ან სხვა სპეციფიკური ცოდნისა და უნარების გამო, რომლებიც დაკავშირებულია საქმიანობასთან ან პროცესთან. ჯგუფის წევრებს სასურველია გავლილი ჰქონდეთ საბაზისო მომზადება რისკების შეფასებაში.

რისკების შეფასების პროცესში ორგანიზაციაში ხდება საქმიანობის სახეების/პროცედურების დაყოფა ცალკეულ აქტივობად/თემად. ყოველი მათგანისთვის ხდება საფრთხეების იდენტიფიცირება, პოტენციური ნეგატიური შედეგისა და რისკის ქვეშ მყოფი პირების განსაზღვრა, რეალური/მიმდინარე კონტროლის ზომების გაწერა, რაც საშუალებას მოგვცემს აღნიშნული საკითხები ერთობლიობაში გავანალიზოთ და სწორად და ეფექტურად შევაფასოთ რისკები.

მიმდინარე, სტანდარტულ, თითქმის მუდმივმოქმედ სამუშაო პროცესებთან დაკავშირებული საფრთხეების და რისკების ძირითადი ნაწილი როგორც წესი წინასწარ არის ცნობილი, შესაბამისად ძირითადი კონტროლის ზომებიც წინასწარ განსაზღვრულია. ასეთი სამუშაო პროცესების რისკების შეფასებისათვის გამოიყენება **დანართი N1**-ში მოცემული ფორმა. პირველ რიგში უნდა დასრულდეს ასეთი რისკის შეფასება და შემდეგ უფრო კონკრეტული და არასტანდარტული საფრთხეების გამოვლენა და რისკის შეფასებები, ამ შემთხვევაში გამოიყენება **დანართი N2**-ში მოცემული ფორმა.

სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას, როგორც წესი რისკების შეფასება (დანართი N1 ფორმით) ხდება ყოველთვიურად, თუმცა სამუშაოების სირთულეებისა და ახალი პროცედურების დაწყების ვადებიდან გამომდინარე, რისკების შეფასების პერიოდულობა განისაზღვრება გუნდური ვადით.

### 3. საფრთხის იდენტიფიცირება

საფრთხის იდენტიფიცირება არის რისკების შეფასების უმნიშვნელოვანესი პირველი ნაბიჯი. მხოლოდ მნიშვნელოვანი საფრთხეები, რამაც შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ხალხს, უნდა იქნას გამოვლენილი. არამატერიალური და უმნიშვნელო რისკი იგნორირებული უნდა იყოს.

საფრთხის იდენტიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია, როგორც რისკების შეფასების ჯგუფის მიერ სამუშაო სივრცის/ტერიტორიის დათვალიერება, ასევე ამ ტერიტორიაზე მომუშავე შესაბამის პერსონალთან კონსულტაციები. გარდა ამისა, საფრთხის იდენტიფიკაციაში დაგვეხმარება უბედური შემთხვევის და ინციდენტების მოკვლევისა და აღრიცხვის მასალები, ასევე ზედამხედველი ორგანოს შემოწმების დასკვნები, აუდიტორული ანგარიშები, სამუშაოს ანგარიშები/მოხსენებები, სახელმძღვანელო მითითებები და სამეცნიერო მასალები.

მნიშვნელოვანია, რომ საფრთხის იდენტიფიკაციის დროს სახიფათო პირობები არ იქნეს არეული საშიშთან. სახიფათო პირობები რაც შეიძლება მალე უნდა იყოს გამოსწორებული დაკვირვების შემდგომ. სახიფათო პირობების მაგალითებია: მექანიზმის დაკარგული დამცველები, გაუმართავი გამაფრთხილებელი სისტემები/სენსორები და სხვა.

### 4. რისკის ქვეშ მყოფი პირები

თანამშრომლები და კონტრაქტორები, რომლებიც მუშაობენ სრული სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაო ადგილებზე, წარმოადგენენ ყველაზე აშკარა რისკ ჯგუფებს და საჭიროებენ შემოწმებას მასზე, რომ არიან კომპეტეტურნი განახორციელონ მათზე დაკისრებული

კონკრეტული ამოცანები. თუმცა, შეიძლება არსებობდეს სხვა ჯგუფები, რომლებიც უმეტეს დროს სამუშაო ადგილზე ან მის ირგვლივ ატარებენ. ეს ჯგუფი მოიცავს ახალგაზრდა დამწყებ მუშაკებს, სტაჟიორებს, ტექნიკური მომსახურების მუშაკებს და სხვა პირებს. სხვა პირებში შეიძლება მოიაზრობოდეს ვიზიტორები, სტუდენტები ან მომხმარებლები, ასევე გამვლელები.

რისკების შეფასება უნდა მოიცავდეს დამატებით კონტროლის ზომებს, რომელიც დაკავშირებულია ამ ჯგუფების დაუცველობასთან, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს გამოუცდელით ან უუნარობით.

## 5. რისკის ანალიზი და რისკის დონის შეფასება

უმეტესობა რისკების შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ საფრთხესთან დაკავშირებული ზოგიერთი რისკი უკვე დადგენილია ან კონტროლდება. აქედან გამომდინარე რისკის შეფასების მთავარი მიზანია დარჩენილი რისკების შემცირება. ამას ეწოდება **ნარჩენი რისკი**. რისკის შეფასება მიზნად ისახავს ნარჩენი რისკების შემცირებას მინიმალურ შესაძლებელ დონემდე.

რისკის ანალიზი ხორციელდება იდენტიფიცირებული რისკების ალბათობისა და პოტენციური შედეგის შესწავლის მიხედვით, რათა განისაზღვროს, თუ როგორ უნდა მოხდეს რისკების მართვა. რისკის ანალიზი გულისხმობს იმ ფაქტორების იდენტიფიკაციას, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ რისკის მოხდენის ალბათობაზე და პოტენციურ შედეგებზე.

საწყის ეტაპზე ხორციელდება წინასწარი ანალიზი, რომელიც გულისხმობს მსგავსი რისკების დაჯგუფებას, გაერთიანებას და დაბალი, უმნიშვნელო გავლენის მქონე რისკების გამორიცხვას.

შემდეგი ეტაპია რისკის დონის განსაზღვრა მისი მასშტაბებიდან გამომდინარე. რისკის დონის განსაზღვრა ხდება არა მარტო რისკის მოხდენის ალბათობისა და შედეგის შესწავლით, არამედ ასევე ხდება რისკების ურთიერთდამოკიდებულებებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინება.

რაოდენობრივი რისკის შეფასება რისკის დონის განსაზღვრის ეფექტური მეთოდია, ინციდენტის ალბათობის და მისი შედეგის სიმძიმის თვალსაზრისით. ამისათვის გამოიყენება **დანართი N3**-ით გათვალისწინებული მატრიცა. ცხადია, რომ რაც უფრო მაღალია ალბათობა და შედეგის სიმძიმე, რისკიც უფრო მაღალი იქნება. ალბათობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა კონტროლის ზომები, საფრთხის ზემოქმედების სიხშირე და საფრთხესთან დაკავშირებული პირის კატეგორია. შედეგის სიმძიმე დამოკიდებულია საფრთხის სიდიდეზე ან სერიოზულობაზე (მაგალითად, ძაბვა, ტოქსიკურობა და ა.შ.).

რისკის დახასიათება შესაძლებელია შემდეგნაირად: „მიუღებელი“, „მისაღები შესაბამისი საპასუხო ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობით“ და „მისაღები“. შესაძლებელია ასევე რისკის მისაღები მინიმალური დონის არსებობაც (იმ შემთხვევაში როცა მისგან თავის არიდება შესაძლებელია). რისკი იმ შემთხვევაშია მისაღები, როცა რისკების კონტროლის დამატებითი ზომების განხორციელება შეუძლებელია ან თავად რისკი არამატერიალური და უმნიშვნელოა, ასევე როდესაც რისკის დაბალი დონის გათვალისწინებით, მისი კიდევ უფრო შემცირება ფინანსურად მიუღებელია, ასეთ შემთხვევაში საპასუხო ღონისძიებებზე რესურსების ხარჯვა არ არის მიზანშეწონილი.

## 6. რისკების კონტროლი

რისკების კონტროლის ზომები (საპასუხო ღონისძიებები) არის: თავის არიდება (მაგ. თუ რისკი არის მიუღებელი შესაძლებელია მისი თავიდან არიდება, იმ გადაწყვეტილების არმიღების და იმ ღონისძიების არგანხორციელების გზით, რაც იწვევს რისკის წარმოქმნას), კონკრეტული საპასუხო ქმედებების განხორციელება, შეგუება და მონიტორინგი (მაგ. რისკი მისაღებია და ხდება მასთან შეგუება და მონიტორინგი იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტული საპასუხო ქმედებების განხორციელება არაპრაქტიკული ან შეუძლებელია. ასევე შეგუებას და მონიტორინგს ვახდენთ ისეთ რისკებზე, რომელთა ზემოქმედების დონე უმნიშვნელოა, მაგრამ რომელთა მახასიათებლები შესაძლებელია მომავალში შეიცვალოს) და ა.შ.

რისკის შეფასების შედეგად, მიიღება გადაწყვეტილება, თუ რა სახის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს გამოვლენილი რისკების კონტროლისთვის და როგორია ყველაზე უფრო ეფექტიანი საპასუხო ღონისძიებების სტრატეგია.

არსებული კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის შეფასებისას ან ახალი საპასუხო ღონისძიების (დამატებითი კონტროლის ზომის) შემოღებისას უნდა გავითვალისწინოთ რისკების კონტროლის იერარქია, რომელიც გამოიყურება შემდეგნაირად:

1. **აღმოფხვრა:** საფრთხის წყაროს მოშორება;
2. **ჩანაცვლება:** მასალების ან პროცესების ნაკლებად სახიფათო მასალებით ან პროცესებით ჩანაცვლება;
3. **საინჟინრო კონტროლის განხორციელება:** საფრთხის წყაროსთან წვდომის თავიდან აცილება; ადმინისტრაციული კონტროლი: პროცედურებისა და ინსტრუქციების შექმნა შრომის უსაფრთხოებისათვის და ზედამხედველობის მექანიზმების შემუშავება;
4. **ადმინისტრაციული კონტროლი:** წესების შემუშავება-ცვლილება; სწავლება.
5. **ინდივიდუალური დაცვის საშუალებები:** მას შემდეგ, რაც ყველა ზემოხსენებული იქნება გათვალისწინებული, გამოყენებული ან/და აღმოჩნდება არაეფექტური.

### რისკების პრევენციის ზოგადი პრინციპებია:

რისკების თავიდან აცილება

რისკების შეფასება, რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია

ბრძოლა რისკების წყაროსთან

სამუშაოს ადაპტირება ინდივიდუალურთან, განსაკუთრებით ეს შეეხება სამუშაო ადგილის დიზაინს, სამუშაო ადგილრიგობის შერჩევას და სამუშაო და წარმოების მეთოდების არჩევას, კერძოდ, მონოტონური სამუშაოს შემსუბუქების, მუშაობის წინასწარ განსაზღვრული სამუშაო

განაკვეთით და ჯანმრთელობაზე მათი ზეგავლენის შემცირების მიზნით.

ადაპტირება ტექნიკურ პროგრესთან

სახიფათოს ჩანაცვლება არასახიფათო ან ნაკლებად სახიფათოთი

თანმიმდევრული საერთო პრევენციული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიას, სამუშაოს ორგანიზებას, სამუშაო პირობებს, სოციალურ ურთიერთობებს და სამუშაო გარემოსთან დაკავშირებულ ფაქტორებს

კოლექტიური დამცავი ღონისძიებების პრიორიტეტულობა ინდივიდუალური დამცავი ღონისძიებების მიმართ

შესაბამისი ინსტრუქციების მინიჭება დასაქმებულთათვის.

დამატებითი კონტროლის ზომების განსაზღვრისას გადაწყვეტილება მიიღება იმის მიხედვით, არის თუ არა რისკის დონე კრიტიკული, მაღალი, საშუალო ან დაბალი. აღნიშნული მიდგომა და დამატებითი კონტროლის ზომების გეგმა ხელს უწყობს რისკების შემცირებას. მაღალი რისკის აქტივობები ჩვეულებრივ განხილული უნდა იქნეს დღეებში, საშუალო რისკები კვირეებში და დაბალი რისკები თვეში ან ზოგიერთ შემთხვევაში არანაირი აქტივობა არაა საჭირო.

დამატებითი კონტროლის ზომების (საპასუხო ღონისძიებების) მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების უარყოფითი ზეგავლენის შემცირება, რაც აისახება საფრთხის შემცირებაში და დაწესებულების მიერ დასახული მიზნების სრულყოფილად მიღწევაში. საპასუხო ღონისძიებები

ძირითადად მოიცავს რისკის კონტროლს, თუმცა ამასთან ერთად გვხვდება ისეთი ღონისძიებები, როგორცაა რისკის თავიდან აცილება, რისკის გაზიარება და სხვა.

დამატებითი კონტროლის ზომებს შორის საუკეთესოს შერჩევა მოიცავს ყოველი სახის ღონისძიების ხარჯისა და სარგებლის შედარებას. რისკის მართვის ღირებულება უნდა იყოს შესაბამისი იმ სარგებლისა, რაც მიიღება ამ მართვის შედეგად. როდესაც ხორციელდება ხარჯის სარგებელთან შედარება, გათვალისწინებულ უნდა იქნას კონკრეტული გარემო და ვითარება. მნიშვნელოვანია, მხედველებაში მიღებულ იქნას ყველა პირდაპირი და ირიბი ხარჯი და სარგებელი, (როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური) მოხდეს მათი შეფასება ფინანსური ან სხვა მეთოდით. საპასუხო ღონისძიებების შერჩევის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ისეთი ფაქტორები, როგორცაა პოლიტიკური და სოციალური.

იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი კონტროლის ზომების (საპასუხო ღონისძიებების) ბიუჯეტი არის შეზღუდული, ღონისძიებების გეგმამ ზუსტად უნდა ასახოს ის პრიორიტეტები, რომელსაც დაეფუძნება გეგმა.

რისკების კონტროლის დამატებითი ღონისძიებების გეგმა უნდა მოიცავდეს:

რისკის დონის მინიმიზაციისათვის საჭირო კონტროლის ღონისძიებებს;

გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს;

საჭირო რესურსების სახეობის განსაზღვრას (ფინანსური, ადამიანური რესურსის, ტექნოლოგიური და სხვა);  
შესრულების ვადებს.

## **7. კომუნიკაცია და კონსულტაცია**

კომუნიკაცია და კონსულტაცია არის მუდმივი პროცესი, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებული პირი უზრუნველყოს საჭირო ინფორმაციით, მოახდინოს გაზიარება და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს რისკის მართვასთან დაკავშირებული საკითხები, როგორცაა მაგალითად, რისკის ბუნება, ფორმა, მოხდენის ალბათობა, საპასუხო ღონისძიებები და ა.შ.

კომუნიკაციის დროს ხდება შესაბამისი ინფორმაციის იდენტიფიცირება და შეგროვება, რომელიც უნდა გადაიცეს იმ ფორმით და დროს იმ მონაკვეთში, რომელიც ადამიანებს დაეხმარება შეძლონ მათზე დაკისრებული მოვალეობების სწორად შესრულება.

კონსულტაცია არის ინფორმაციის გადაცემის (ინფორმაციული კავშირის) ორმხრივი პროცესი, კომუნიკაცია დაწესებულებასა და დაინტერესებულ პირებს შორის იმ საკითხის გარშემო, რაც მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას ან კონკრეტული მიმართულების განსაზღვრას.

კონსულტაცია არის პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე თანამშრომლობის და არა ძალაუფლების საფუძველზე. კონსულტაცია წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეტანილ წვლილს და არა საკითხის საერთო გადაწყვეტას.

## **8. მონიტორინგი**

ეფექტურ რისკის მართვას სჭირდება დაწესებულების სტრუქტურის მუდმივი გადახედვა და ანგარიშების მომზადება, რისკის ეფექტური შეფასებისთვის და საჭირო კონტროლის ღონისძიებების განსაზღვრისათვის. მონიტორინგი ასევე მოიცავს რეგულარულ შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის განხორციელებას, რათა აღმოჩენილ იქნას დაწესებულების სტრუქტურისა და საქმიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობები.

მონიტორინგის პროცესი უნდა იყოს მარწმუნებელი იმისა, რომ დაწესებულების საქმიანობის შესაბამისი კონტროლის ღონისძიებები არსებობს და არსებული პროცედურები ყველასთვის გასაგებია და სრულდება.

მონიტორინგის პროცესი ასევე უნდა მოიცავდეს:

შეფასებას, თუ მიღებული ზომები რამდენად ამართლებს მოლოდინს;

შეფასებისთვის დანერგილი პროცედურების და მოპოვებული ინფორმაციის სისწორის შემოწმებას;

შეფასებას, თუ რამდენად ეხმარება დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა უკეთესი გადაწყვეტილებების მიღებას, რისკის იდენტიფიკაციის პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას, მომავალში მის შეფასებას და მართვას და სხვა.

## საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა

1. წინამდებარე გეგმა გამოიყენება „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“ -ს ობიექტებზე საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის დროს.
2. ყველა დასაქმებული ვალდებულია იცნობდეს საგანგებო სიტუაციებში მოქცევის წესებს და მის გაცნობას აფიქსირებდეს ხელმოწერით.
3. საგანგებო სიტუაციების ინსტრუქტაჟი განმეორებით უნდა ჩატარდეს ყოველ 6 თვეში.
4. ტექნოგენური ავარიები – წარმოადგენენ არაპროგნოზირებად უკონტროლო მოვლენებს, რომლებსაც თან სდევს აფეთქები, ხანძრები და მავნე ნივთიერებების ამოფრქვევები. ტექნოგენურ ავარიებს დამახასიათებელი ნიშნებია:
  - ა) აფეთქებები, კვამლი, ცეცხლი, მკვეთრი სუნი, „ფერადი“ ნალექები, ცხოველების უეცარი მასიური დახოცვა, მომენტალურად გამხმარი ფოთლები და ა.შ.
  - ბ) დამახასიათებელი სიმპტომების სწრაფი გამოვლენა (გულისრევა, გამწვანებული სუნთქვა, ლორწოვანი გარსის და კანის შესიება და გამონაყარი)
5. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების თანდართული გეგმა (დანართი N1), სცენარების მიხედვით, მოიცავს რეაგირების ღონისძიებებს და განსაზღვრულია შესაბამისი პასუხისმგებელი პირები.
6. დანართი N2-ით განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების ინსტრუქტაჟი.

სცენარი	რეაგირება	პასუხისმგებელი პირები	ტელეფონი
---------	-----------	-----------------------	----------



<p>ხანძარი, აფეთქება</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სამუშაო უბანზე ყველა საქმიანობის შეჩერება.</li> <li>2. მცირე ზომის ცეცხლს ვებრძვით პორტატული ცეცხლმაქრით, თუ გვაქვს ცეცხლთან ბრძოლი ტრენინგი.</li> <li>3. გააქტიურეთ ადგილობრივი საყვირები, დაიყვირეთ „ხანძარი, ხანძარი“</li> <li>4. გაემართეთ უსაფრთხო გზებით თავშეყრის ადგილისკენ, არ ირბინოთ და არ მიეცეთ პანიკას. ყურადღება მიაქციეთ სავალ გზას და გზადაგზა ატყობინეთ ადამიანებს ხანძრის შესახებ.</li> <li>5. ყველა ელექტროხელსაწყოს გამორთვა.</li> <li>6. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის და ხელმძღვანელობის ინფორმირება.</li> <li>7. სიტუაციის შეფასება და ქმედების განსაზღვრა.</li> <li>8. სახანძრო სამსახურის და სამედიცინო დახმარების გამოძახება.</li> <li>9. შიდა პერსონალის ქმედებების გაკონტროლება და ხელმძღვანელობა.</li> <li>10. სახანძრო რაზმის ქმედებების ხელშეწყობა.</li> <li>11. დაზიანებული ადამიანებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა. (თუ პირველადი დახმარების კურსი გაქვთ გავლილი)</li> </ol>	<p>ელექტრობაზე პასუხისმგებელი</p> <p>შრომის უსაფრთხოების მენეჯერი</p> <p>დაცვის უფროსი</p>	
<p>ავტო-სატრანსპორტო შემთხვევა</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სწრაფი შეფასება სიტუაციის.</li> <li>2. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ინფორმირება.</li> <li>3. ინციდენტის შესახებ სასწრაფო დახმარების და პოლიციის ინფორმირება.</li> <li>4. სამაშველო ჯგუფის გამოჩენამდე დაშავებულს გაეწიოს პირველადი დახმარება (კომპეტენტური პირის მიერ).</li> </ol>	<p>შრომის უსაფრთხოების მენეჯერი</p> <p>ობიექტის საქმის მწარმოებელი</p> <p>დაცვის უფროსი</p>	

	<p>5. პირველადი დახმარების გაწევამდე აუცილებელია სიტუაციის შეფასება და დადგენა ქმნის თუ არა საფრთხეს დაშავებულთან მიახლოვება.</p> <p>6. ტერიტორიის შემოღობვასამართალდამცავი ორგანოების მოსვლამდე</p>	ტრანსპორტის მენეჯერი	
<p>ამწე მოწყობილობის დაზიანება</p>	<p>1. მოწყობილობის ავარიული გაჩერება.</p> <p>2. ქვედა ტერიტორიის შემოღობვა, იზოლირება, არ დაიშვებიან ადამიანები ამ არეალში.</p> <p>3. ტვირთის დაკიდების შემთხვევაში, ავარიული დაშვება ამწის მიერ, თუ ვერ ხერხდება ტვირთის დაშვება, არავითარი ადამიანები ტვირთის ქვეშ.</p> <p>4. შეტყობინება ხელმძღვანელობის</p> <p>5. მიზეზის დადგენა, გადაწყვეტილების მიღება და დეფექტის ლიკვიდაცია.</p> <p>6. უწყესივრობის დაფიქსირება.</p> <p>7. პერსონალის არაგეგმიური ინსტრუქტაჟი.</p>	<p>მექანიკოსი</p> <p>შრომის უსაფრთხოების მენეჯერი</p> <p>დაცვის უფროსი</p>	
<p>მძიმე დაზიანების შემთხვევაში</p>	<p>1. ინციდენტის შესახებ სასწრაფო დახმარების ინფორმირება.</p> <p>2. სიტუაციის შეფასება და დადგენა ქმნის თუ არა საფრთხეს დაშავებულთან მიახლოვება.</p> <p>3. სამაშველო ჯგუფის გამოჩენამდე პირველადი დახმარების ჩატარება. (კომპეტენტური პირების მიერ)</p> <p>4. მოხდეს სისხლდენის შეჩერება სასწრაფო დახმარების მოსვლამდე (დოლბანდებით, ლოკალური პრესით, ხელის მიჭერით)</p> <p>5. ამპულტაციის შემთხვევაში, ამპუტირებული ნაწილის მოძებნა და სამედიცინო პერსონალს გადაცემა (თუ მასთან მიახლოვება არის უსაფრთხო)</p>	<p>შრომის უსაფრთხოების მენეჯერი</p> <p>ობიექტის საქმის მწარმოებელი</p> <p>დაცვის უფროსი</p>	
<p>ბუნებრივი მოვლენები (წყალდიდობა,</p>	<p>1. საშიშროების შემთხვევაში სასწრაფოდ განახორციელეთ ევაკუაცია საშიში ზონიდან.</p> <p>2. ელექტრო ენერჯის გათიშვა</p>	<p>ელექტროობაზე პასუხისმგებელი</p> <p>უსაფრთხოების მენეჯერი</p>	

<p>მიწისძვრა და სხვა.)</p>	<p>3. საშიშროების ნიშნების გაჩენისას სასწრაფოდ გადაადგილდით შემადღებული ადგილისკენ.  4. საშიშია დარჩენა შენობაში, თუ მდებარეობს ჩამოქცეული ნაპირის ახლოს, ან მის ქვეშ გრუნტი ნაწილობრივ გარეცხილია.  5. მოხდეს პერსონალის გამოყვანა საშიში ზონებიდან.  6. მოხდეს ადვილად აალებადი და ფეთქებადი ნივთიერებების გატანა საშიში ზონებიდან.  7. სამაშველო და სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულებისას აუცილებელია ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება.</p>	<p>დაცვის უფროსი</p>	
<p>ელექტროშოკი</p>	<p>1. არ შეიძლება დაზარალებულთან მიახლოება, სანამარ გამოირთვება დენი და საჭიროების შემთხვევაში, არ გაკეთდება იზოლირება. შეინარჩუნეთ 18 მეტრის რადიუსის უსაფრთხო დისტანცია. (მაღალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმის შემთხვევაში).  2. ხელმძღვანელობის შეტყობინება</p>	<p>ელექტრობაზე პასუხისმგებელი შრომის უსაფრთხოების მენეჯერი  დაცვის უფროსი</p>	
<p>სხვა ინციდენტები</p>	<p>აცნობე დირექტორს და საგანგებო სიტუაციების სამსახურს</p>	<p>საგანგებო სიტუაციების სამსახური</p>	<p>112</p>
<p>სიმაღლეზე ადამიანის დაზიანება და ევაკუაცია</p>	<p>1. დაზარალებულის საკაცეზე მოთავსება, თასმებით დაფიქსირება.  2. ადგილზე ჩაუტარეთ პირველადი დახმარება (თუ შესაბამისი ტრენინგი გაქვთ გავლილი)  3. გამოიყენეთ უსაფრთხო გასასვლელი და გზები.  4. საკაცე აიწევა ერთდროულ თვლაზე.  5. სამედიცინო სამსახურის შეტყობინება, ობიექტის უსაფრთხოების მენეჯერის შეტყობინება, ობიექტის ხელმძღვანელობის შეტყობინება.  6. თუ ვერ ხერხდება დაზარალებულის საკაცით უსაფრთხო გზით ჩამოყვანა, გამოიყენეთ სპეციალური ასაწევი საშუალებები (სპეც საკაცე, ჯალამბარი, და სხვა)</p>	<p>შრომის უსაფრთხოების მენეჯერი  დაცვის უფროსი</p>	

	ძლიერი ქარის დროს მსგავსი ევაკუაცია არ დაიშვება. 10მ/წ-ზე მეტი.	
--	---	--

დანართი N2

## დასაქმებულთა ინსტრუქტაჟი

საგანგებო სიტუაციების წინამდებარე ინსტრუქტაჟი განმეორებით უნდა ჩატარდეს ყოველ 6 თვეში.

### დაიცავით შემდეგი წესები:

1. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და შეეცადეთ დაიცვათ თავი;
2. მხოლოდ მას შემდეგ რაც თქვენ სათანადოდ იქნებით დაცული, დაეხმარეთ სხვებს, მხოლოდ იმ პირობით თუ იცით როგორ გააკეთოთ ეს;
3. დატოვეთ ავარიის ადგილი რაც შეიძლება მალე;
4. არ გადაადგილდეთ იმ ზონებით სადაც არის საშიში ქიმიური ნივთიერებები და არ შეეხოთ მათ;
5. არ მოწიოთ;
6. შეეცადეთ, რაც შეიძლება გულდასმით დაიფაროთ თქვენი სხეული, თუ გაჟონვას დაიცავით სასუნთქი გზები მტვრისგან და საშიში აირებისგან, მიიფარეთ პირზე და ცხვირზე პირსახოცი ან რაიმე ნაჭერი, ნელა ისუნთქეთ
7. სუნთქვის ორგანოების დასაცავად გამოიყენეთ რესპირატორები, პირბადეები, ქსოვილისგან დამზადებული მტვრის საწინააღმდეგო ნიღბები და სამოქალაქო აირწინაღები;
8. შეგიძლიათ არ გამოიყენოთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები ადმინისტრაციულ შენობებში ყოფნისას, წვიმის შემდეგ ან უქარო ამინდში;
9. კანის დასაცავად გამოიყენეთ სქელი ქსოვილისგან და პოლიეთილენისგან დამზადებული ლაბადები, კომბინიზონები, რეზინის ფეხსაცმელი, ხელთათმანები ან სპეციალური დამცავი ტანსაცმელი;

### მხუთავი აირით მოწამვლისას:

10. გამოიყვანეთ ადამიანი სუფთა ჰაერზე;
11. მოასულიერეთ ნიშადურით;

12. ფილტვებში ჰაერის თავისუფლად მიწოდების უზრუნველსაყოფად შეუხსენით ტანისამოსი;
13. თუ დაზარალებული გრძნობაზე დააღვინეთ დიდი რაოდენობით სითხე (ჩაი, წყალი);
14. სუნთქვის არქონის შემთხვევაში დაზარალებულს ჩაუტარეთ ხელოვნური სუნთქვა და გულის არაპირდაპირი მასაჟი;
15. გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება

**უშუალოდ საგანგებოსიტუაციისდროს:**

16. აიღეთ აუცილებელი ნივთები და რაც შეიძლება ორგანიზებულად დატოვეთ ტერიტორია;
17. მზადიყავით დახმარების აღმოსაჩენად, იმოქმედეთ ერთობლივად სამაშველო ჯგუფებთან ერთად;
18. იმოქმედეთ სიტუაციიდან გამომდინარე და ყურადღება მიაქციეთ შეტყობინებებს

19. ავარიული სიტუაციის წარმოქმნისას ვალდებული ხართ შეწყვიტოთ მუშაობა, სასწრაფოდ შეატყობინოთ უშუალო ხელმძღვანელს მომხდარის შესახებ და შემდეგ, შექმნილი ავარიული სიტუაციის აღმოსაფხვრელად, იმოქმედოთ მათი მითითებების შესაბამისად.

20. ხანძრის შემთხვევაში, საწვავი მასალების აალების შემთხვევაში პრიორიტეტი უნდა იყოს სახანძრო დაცვის გამოძახება და თანამშრომელთა ევაკუაცია, ხანძრის შედეგად გამოყოფილი, ადამიანის ორგანიზმზე მომქმედი, მავნე ფაქტორების მოქმედების ზონიდან (შენობის ანგებობის გარეთ, სადაც მოხდა ხანძარი).

ამის შემდეგ აუცილებელია:

21. საამქროში (შენობაში) სადაც გაჩნდა ხანძარი გამოირთოს ელექტრომოწყობილობა, ელექტრო ხელსაწყოები (აპარატურა, სტენდები), ელექტროპნემატური იარაღი და საამქროს ელექტული კვების წყარო;
22. გამოირთოს ვენტილაციის სისტემა;
23. დაუყოვნებლივ აცნობოს ხანძრის შესახებ სამუშაოთა ხელმძღვანელს, ხანძრის კერის ზუსტი მითითებით;
24. სასწრაფოდ მოახდინოს საწვავ-საცხები და ცეცხლსაშიში, ფეთქებადი მასალიანი ჭურჭლის გატანა ხანძრის კერის გარეთ;
25. შუდგეს ხანძრის ჩაქრობას ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებების გამოყენებით.
26. ხანძრის შედეგად უშუალოდ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საზიანო მავნე ფაქტორების (ღია ცეცხლის კერა, გარემოს მაღალი ტემპერატურა, ტოქსიკური პროდუქტების წვა და თერმიული შლა, კვამლი, ჯანგბადის დაბალი კონცენტრაცია და სხვა) გამოყოფის შემთხვევაში ან აფეთქების საშიშროების შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა დასტოვოთ ამ საშიში ფაქტორების მოქმედების ზონა.

27. ელექტრო მოწყობილობების აალების შემთხვევაში ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ნახშირჟანგოვანი ან ფხვნილოვანი ცეცხლმაქრები. ამავდროულად არ შეიძლება ნახშირჟანგოვანი და ფხვნილოვანი საშუალებების ნაკადის ხალხისაკენ მიშვება. ნახშირჟანგოვანი ცეცხლმაქრის გამოყენებისას, გაყინვისაგან ხელების დასაცავად, არ უნდა შეეხონ ცეცხლმაქრის მიმართველ მილაკს.

28. ცეცხლმოდებული მოწყობილობების ჩასაქრობად, რომლებიც საკონტაქტო ხაზიდან დაცილებული არიან 2 მეტრზე ნაკლებ მანძილზე, გამოიყენება მხოლოდ ნახშირჟანგოვანი ან ფხვნილოვანი ცეცხლმაქრები.

29. ხანძრის კერის ჩაქრობა წყლით, ქაფიანი ან ჰაეროვან-ქაფიანი ცეცხლმაქრებით ნებადართულია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოსტატის (ბრიგადირის) ან სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ იქნება შეტყობინებული რომ საკონტაქტო ხაზი გამორთული და დამიწებულია.

30. ქაფის მოხვედრისას სხეულის დაუცველ ნაწილზე საჭიროა იმ ადგილის ცხვირსახოცით მოწმენდა და სოდიანი წყლის ხსნარით დაბანა.

31. თუ ხანძრის კერა საკონტაქტო ხაზიდან დაცილებულია 7 მეტრზე მეტად, ხანძრის ჩაქრობა ნებადართულია ხაზიდან ძაბვის მოუხსნელად. ამავდროულად ყურადღება უნდა მიექცეს, რომ წყლის ან ქაფის ნაკადი არ მოხვდეს საკონტაქტო ხაზს და ძაბვის ქვეშ მყოფ საკონტაქტო ხაზზე ჩამოკიდებულ სხვა ნაწილებს.

32. ხანძრის ქრობის დროს აკრძალულია გაწყვეტილ და მიწაზე დაგდებულ საკონტაქტო ხაზის გამტარებთან, რომლებიც არ არის გამორთული და დამიწებული, მიახლოება 8 მეტრზე ახლოს.

33. შენობებში, სადაც არის შიდა სახანძრო ონკანები, ხანძრის ჩაქრობას უნდა ახდენდეს ორი პირი: პირველი შლის სახანძრო შლანგს ხანძრის კერემდე, მეორე კი განკარგულების მოღებებისას ადებს ონკანს.

34. ხანძრისკერისმჭიდროქსოვილითჩაქრობისასალიისეუნდადაიფაროს, რომარმოხვდესადამიანს.

35. სილით ხანძრის ჩაქრობისას ნიჩაფი არ უნდა აიწიოს თვალის სიმაღლეზე, რათა სილა არ შეეყაროს თვალებში.

36. ტანსაცმელზე ცეცხლის მოდებისას, რაც შეიძლება მალე უნდა ჩააქრონ ცეცხლი, მაგრამ არა დაუცავი ხელებით. ცეცხლმოდებული ტანსაცმელი უნდა გახადონ, შემოახიონ ან სასწრაფოდ ჩააქრონ. ცეცხლმოდებულ ტანსაცმლიან ადამიანს შეიძლება შემოახვიონ ცეცხლის ჩასაქრობად, მჭიდრო ნაჭერი ან ბრეზენტი, რომელიც ჩაქრობის შემდეგ უნდა შემოეხსნას, რათა არ მოხდეს ადამიანის სხეულის სითბური დათრგუნვა. არ შეიძლება თავის გახვევა, რათა არ მოხდეს სასუნთქი ორგანოების დაზიანება და მოწამვლა, წვის დროს გამოყოფილი ტოქსიკური აირებით.

37. თუ მოხდა რაიმე უბედური შემთხვევა აუცილებელია დაზარალებული სასწრაფოდ იქნეს

გათავისუფლებული ტრამვის მიმყენებელი ფაქტორისაგან, აღმოჩენილი იქნეს პირველადი სამედიცინო დახმარება და უბედური შემთხვევის შესახებ შეტყობინებული იქნეს ხელმძღვანელი პირი.

38. გავეცანი , ვეთანხმები და ვაწერ ხელს:

## სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

წინამდებარე სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“-ს ობიექტზე მომხდარი უბედური შემთხვევის აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების პროცედურებს.

### მუხლი 2. დამსაქმებლის ვალდებულებები

დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ მიიღოს პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შემდგომი საფრთხის თავიდან აცილებისათვის აუცილებელი ზომები;

ბ) მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევებისას დაიცვას სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის ადგილი და უცვლელად შეინარჩუნოს იგი კომპეტენტური საგამომიებო ორგანოების წარმომადგენელთა მისვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აუცილებელია ზომების მიღება პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად ან სერიოზული ეკონომიკური ზიანის თავიდან ასაცილებლად;

გ) თუ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის ადგილზე სიტუაცია იცვლება პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შემდგომი საფრთხის თავიდან აცილების ან სერიოზული ეკონომიკური ზიანის თავიდან აცილების მიზნით, დამსაქმებელმა უნდა დაასაბუთოს ჩარევის აუცილებლობა, შეადგინოს სამუშაო ადგილზე არსებული სიტუაციის შესაბამისი აღწერილობა, შესაბამისი დასურათებით სათანადო მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების მოკვლევის ხელშეწყობისათვის;

დ) სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს:

დ.ა) შესაბამის დასაქმებულთა გაერთიანებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დასაქმებულთა წარმომადგენელს შრომის უსაფრთხოების საკითხებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ.ბ) სამართალდამცავ ორგანოებს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის დროს და იმ შემთხვევაში თუ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული ფაქტები დანაშაულის ნიშნებზე მიანიშნებს;

დ.გ) ზედამხედველ ორგანოს – მძიმე, ფატალური დამასობრივი უბედური შემთხვევების დროს დამსაქმებლის მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შეტყობინების ოქმის (დანართი №1.3) შესაბამისად;

ე) აღრიცხოს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევები და შექმნას უბედური შემთხვევის მოკვლევის კომისია;

ვ) დაზარალებული დასაქმებულის დამსაქმებელს დაუყოვნებლივ აცნობოს უბედური შემთხვევის შესახებ, თუ უბედური შემთხვევა დასაქმებულს სხვა დამსაქმებლის სამუშაო სივრცეში შეემთხვა;

ზ) შეინახოს საშუალო სიმძიმის, მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევების შესახებ მტკიცებულებები, რომლებიც უნდა შეიცავდეს უბედური შემთხვევის აღწერისათვის საჭირო მონაცემებს;

თ) შეინახოს საშუალო სიმძიმის, მძიმე, ფატალური დამასობრივი უბედური შემთხვევების შესახებ მტკიცებულებები შემდეგი ვადით:

თ.ა) საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა – 5 წელი; თ.ბ)

მძიმე უბედური შემთხვევა – 7 წელი;

თ.გ) ფატალური უბედური შემთხვევა – 10 წელი;

თ.დ) მასობრივი უბედური შემთხვევა – 15 წელი.

### **მუხლი 3. უბედური შემთხვევის მოკვლევა**

1. უბედური შემთხვევის მოკვლევის მიზნით, დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას უბედური შემთხვევის მოკვლევის კომისია სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევიდან 24 საათში.

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) დამსაქმებელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;

ბ) დასაქმებულთა წარმომადგენელი შრომის უსაფრთხოების საკითხებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);



გ) პროფესიული კავშირის გაერთიანების წარმომადგენელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) დამსაქმებელი (საჭიროების შემთხვევაში), რომელმაც მიავლინა ან გააგზავნა დასაქმებული სამუშაოდ;

ე) შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. კომისიის შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია წერილობითი ფორმით გამოქვეყნდება დასაქმებულთათვის თვალსაჩინოადგილას.

4. უბედური შემთხვევა, რომელიც შეემთხვა სხვა პირ(ებ)ს, გამოიკვლევა იმ ორგანიზაციაში, სადაც მოხდა უბედური შემთხვევა.

5. უბედური შემთხვევის ფაქტის გამოვლენის დამალვის და სხვა გარემოებების დროს ზედამხედველ ორგანოს უფლება აქვს დამოუკიდებლად ჩაატაროს უბედური შემთხვევის მოკვლევა შემთხვევის ხანდაზმულობის მიუხედავად.

6. ზედამხედველი ორგანოს მიერ უბედური შემთხვევის მოკვლევის შედეგად შედგენილი ოქმით გათვალისწინებული მითითებების შესრულება აუცილებელია დამსაქმებლისათვის.

7. მოკვლევის ჩატარებისას დამსაქმებელი უზრუნველყოფს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის თვითმხილველი პირების, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, დაზარალებულის (თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა) და სხვა დასაქმებულების გამოკითხვას მომხდარი შემთხვევის შესახებ.

#### მუხლი 4. კომისია

1. უბედური შემთხვევის გარემოება და მიზეზები მოკვლეული უნდა იქნეს კომისიის მიერ კომისიის შექმნიდან:

ა) საშუალოსიმძიმის უბედური შემთხვევისას – 10 კალენდარული დღის ვადაში; ბ)

მძიმე უბედური შემთხვევისას – 15 კალენდარული დღის ვადაში;

გ) ფატალური უბედური შემთხვევისას – 7 კალენდარული დღის ვადაში; დ)

მასობრივი უბედური შემთხვევისას – 30 კალენდარული დღის ვადაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოკვლევის ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს იმავე ვადით კომისიის მიერ ერთხმად მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე. მოკვლევის ვადების გაგრძელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებისას მტკიცების ტვირთი ეკისრება კომისიას.

3. უბედური შემთხვევა, რომლის შესახებ შეტყობინება დამსაქმებელმა მიიღო და გვიანებით, ან რომლის შედეგად შრომის უნარიანობის დაქვეითება ან დაკარგვა მოხდა მოგვიანებით, მოიკვლევა დაზარალებულის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, შესაბამისი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, განცხადების მიღების დღიდან ერთი თვის განმავლობაში.

4. კომისია უფლებამოსილია ობიექტური გარემოებების არსებობისას ზედამხედველ ორგანოს წერილობით, დასაბუთებული განცხადებით მიმართოს, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის დენის შეჩერებასთან დაკავშირებით.
5. კომისიის წევრები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ უსასყიდლოდ.

#### მუხლი 5. კომისიის თავმჯდომარე

1. კომისიის თავმჯდომარე აირჩევა კომისიის წევრთა შემადგენლობიდან წევრთა არანაკლებ 2/3- ისმიერ. კომისიის წევრთამიერმიღებული გადაწყვეტილება თავმჯდომარის არჩევის შესახებ ფორმდება წერილობით, ეცნობება კომისიის ყველა წევრს, რაც დასტურდება კომისიის წევრთა ხელმოწერით და გამოიკვრება დასაქმებულთათვის თვალსაჩინო ადგილას.
2. კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ კომისიის წევრთა არანაკლებ 1/3-ს.
3. კომისიის თავმჯდომარე უძღვება კომისიის სხდომებს, ორგანიზებას უწევს კომისიის წევრთა საქმიანობას.

#### მუხლი 6. კომისიის წევრთა უფლება-მოვალეობანი

1. კომისიის წევრ(ებ)ი ვალდებული არიან:
  - ა) დაიცვან კანონიერების, მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობისა და თანასწორობის პრინციპები;
  - ბ) სრულყოფილად მოიკვლიონ საქმეში არსებული გარემოებები, უბედური შემთხვევის დროს საწარმოო გარემო პირობები (ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ფსიქო-სოციალური ფაქტორები) დადგინილი ოქმის შესაბამისად, უზრუნველყონ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის ანალიზი, რაც მოიცავს მომხდარი უბედური შემთხვევის ყველა გამომწვევი ფაქტორის (მათ შორის: უშუალო და არსებითი/სისტემური) დადგენას;
  - გ) მიაწოდონ ზედამხედველ ორგანოს, დაზარალებულ დასაქმებულს ან მისი მოთხოვნით, მის მიერ უფლებამოსილ პირს (გარდაცვალების შემთხვევაში, ოჯახის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს) და კომისიის სხვა წევრებს უბედური შემთხვევის მოკვლევის მიმდინარეობისას შესაბამისი დოკუმენტაცია და მისი შედეგები.
2. უბედური შემთხვევის მოკვლევი კომისიის მოთხოვნათა საფუძველზე დამსაქმებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს:
  - ა) ლაბორატორიული კვლევა; ბ)

ექსპერტების მოწვევა;

გ) დაზიანებული ობიექტებისა და უბედური შემთხვევის ადგილის დასურათება, სქემების, გეგმებისა და სხვა საჭირო ნახაზების შედგენა;

დ) კომისიის წევრებისა და ექსპერტების საჭირო სპეცტანსაცმლითა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებებით აღჭურვა.

3. სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის დასრულების შემდგომ ფორმდება კომისიის მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმი (დანართი №1.2).

4. კომისიის მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმს (დანართი №1.2) ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. კომისიის წევრი უფლებამოსილია, განსხვავებული აზრი დაურთოს უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმს.

5. კომისიის მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმს (დანართი №1.2) უნდა დაერთოს:

ა) საჭიროების შემთხვევაში, შემთხვევის ადგილის გეგმები, სქემები, ესკიზები, ფოტოსურათები და აუცილებლობის შემთხვევაში სხვა მტკიცებულებები;

ბ) ამონაწერები ინსტრუქტაჟების, სწავლების, ცოდნის შემოწმების, ოქმების და შრომის უსაფრთხოების წესების ცოდნის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები;

გ) დაზარალებულთა ან/და თვითმხილველთა ახსნა-განმარტებები;

დ) ექსპერტთა და სხვა მოწვეულ სპეციალისტთა დასკვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ე)

ლაბორატორიული ანალიზისა და კვლევის შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) სამედიცინო დასკვნა დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხზე ან მისი გარდაცვალების მიზეზებზე, აგრეთვე დაზარალებულის ალკოჰოლურ, ნარკოლოგიურ ან ტოქსიკოლოგიურ სიმთვრალეზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს დაზარალებულისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გაცემას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

თ) ზედამხედველი ორგანოს მიერ გაცემული მითითებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ი)

ყველა სხვა დოკუმენტი, რომელთა არსებობასაც კომისია საჭიროდ მიიჩნევს.

6. კომისია ვალდებულია კომისიის მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმი (დანართი №1.2) და თანდართული მასალები მიაწოდოს ზედამხედველ ორგანოს, დაზარალებულ დასაქმებულსა და კომისიის სხვა წევრებს მოკვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა და შესაბამის ჩანაწერები გააკეთოს დანართი N1.4 ფორმის ჟურნალში.

# პროფესიული დაავადებების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

წინამდებარე პროფესიული დაავადების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია“-ს ობიექტებზე პროფესიული დაავადებების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების პროცედურებს.

## მუხლი 2. მოქმედების სფერო

1. პროფესიული დაავადების აღრიცხვას, მოკვლევასა და ანგარიშგებას ექვემდებარება მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაო ადგილზე საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის საფრთხის შემცველი ფაქტორების ზემოქმედებით განვითარებული დასაქმებულის მწვავე ან ქრონიკული დაავადების შესაძლო შემთხვევა.

## მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

**ა) პროფესიული დაავადება** – დასაქმებულის მწვავე ან ქრონიკული დაავადება, რომელიც ვითარდება საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის საფრთხის შემცველი ფაქტორების ზემოქმედებით, იწვევს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ან/და პროფესიული შრომისუნარიანობის შეზღუდვას მოკლე პერიოდში ან ხანგრძლივად და განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით;

**ბ) მწვავე პროფესიული დაავადება** – დაავადება, რომელიც ვითარდება დასაქმებულზე მავნე საწარმოო ფაქტორ(ებ)ის ერთჯერადი (არაუმეტეს ერთი სამუშაო ცვლის განმავლობაში) ზემოქმედების შედეგად, რაც იწვევს პროფესიული შრომისუნარიანობის დროებით ან მუდმივ შეზღუდვას;

**გ) ქრონიკული პროფესიული დაავადება** – დაავადება, რომელიც ვითარდება საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის საფრთხის შემცველი ფაქტორების ხანგრძლივი ზემოქმედებით, იწვევს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ან/და პროფესიული შრომისუნარიანობის შეზღუდვას ხანგრძლივად და განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით;

დ) შრომის პირობების სანიტარიულ-ჰიგიენური დახასიათება – საწარმოო გარემოს და შრომითი პროცესის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ფაქტორების ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობის დადგენა;

ე) საფრთხის შემცველი ფაქტორები – საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური ან ფიზიოლოგიური ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას დასაქმებულის ან სხვა პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და გამოიწვიოს პროფესიული დაავადება ან ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება.

#### მუხლი 4. დამსაქმებლის ვალდებულებები

დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს ღონისძიებების გატარება (მუდმივ რეჟიმში) და მიიღოს პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის აუცილებელი ზომები, საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირების მიზნით;

ბ) მწვავე პროფესიულ დაავადებაზე გონივრული ექვის მიტანის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გადაიყვანოს დასაქმებული სამედიცინო დაწესებულებაში, შემდგომი გამოკვლევების/მკურნალობის ჩატარების მიზნით და დაუყოვნებლივ აცნობოს ზედამხედველ ორგანოს;

გ) ზედამხედველი ორგანოს, ან/და შრომის უსაფრთხოების საკითხებში დასაქმებულის წარმომადგენლ(ებ)ის, ასევე მის მიერ მწვავე ან ქრონიკულ პროფესიულ დაავადებაზე გონივრული ექვის მიტანის შემთხვევაში, შესაძლო პროფესიული დაავადების გამომწვევი მიზეზ(ებ)ის დადგენის მიზნით შექმნას პროფესიული დაავადების მოკვლევის ჯგუფი (შემდგომში – ჯგუფი); ან/და საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები: „პროფესიული პათოლოგიების“ მიმართულებით სპეციალიზებული ექიმ-სპეციალისტ(ებ)ი ან/და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტ(ებ)ი (ჰიგიენის, გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის და სხვ. შესაბამის სფეროში) ან/და ქიმიკოსი ან/და ტოქსიკოლოგი და სხვა, რომელთა მომსახურების ხარჯებს სრულად დაფარავს დამსაქმებელი;

დ) გაატაროს ჯგუფის ან/და შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ის მიერ განსაზღვრული ღონისძიებები;

ე) შესაძლო პროფესიული დაავადების გამომწვევი მიზეზ(ებ)ის დადგენის შემდეგ 15 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს პროფესიული დაავადების დადგენის მიზნით დასაქმებულისთვის შესაბამის დაწესებულებაში კვლევების ჩატარების პროცესის დაწყება;

ვ) აღრიცხოს დადგენილი პროფესიული დაავადებები დანართის N2-1 შესაბამისად და

წარუდგინოს ზედამხედველ ორგანოს პროფესიული დაავადების დადგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში და შესაბამის ჩანაწერები გააკეთოს დანართი N2-2 ფორმის ჟურნალში.

### მუხლი 5. პროფესიული დაავადების მოკვლევა

1. შესაძლო მწვავე ან ქრონიკულ პროფესიულ დაავადებაზე ექვის მიტანის შემთხვევაში ან/და პროფესიული დაავადების შესაძლო გამომწვევი მიზეზ(ებ)ის დადგენის მიზნით იქმნება ჯგუფი ან/და მოიწვევა შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი: „პროფესიული პათოლოგიების“ მიმართულებით სპეციალიზებული ექიმ-სპეციალისტ(ებ)ი ან/და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტ(ებ)ი (ჰიგიენის, გარემოს ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის და სხვ. შესაბამის სფეროში) ან/და ქიმიკოსი ან/და ტოქსიკოლოგი და სხვა.

2. ჯგუფის ან/და სპეციალისტ(ებ)ის მოწვევის მიზანია დადგინოს/განსაზღვროს ის საწარმოო ფაქტორები, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს დასაქმებულის ჯანმრთელობაზე, გამოიწვიოს მწვავე ან ქრონიკული პროფესიული დაავადება.

3. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან:

ა) დამსაქმებელი ან მისი უფლებამოსილი პირი (ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) დასაქმებულთა წარმომადგენელი შრომის უსაფრთხოების საკითხებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) პროფესიული კავშირის გაერთიანების წარმომადგენელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); დ)

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. თუ ჯგუფის შემადგენლობაში შედის მხოლოდ ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წევრი, დამსაქმებელი ვალდებულია მოიწვიოს ამ წესის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი.

5. ზედამხედველი ორგანოს წარმომადგენელი, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს შესაძლო პროფესიული დაავადების მოკვლევის ჯგუფში.

6. ჯგუფი გადაწყვეტილებას იღებს წევრთა ხმების უმრავლესობით.

7. ჯგუფის შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია წერილობითი ფორმით გამოქვეყნდება დასაქმებულთათვის თვალსაჩინო ადგილას.

8. ჯგუფის ან/და სპეციალისტების მიერ შესაძლო პროფესიული დაავადების შესაძლო გამომწვევი მიზეზ(ებ)ის დადგენას ახდენს 60 კალენდარული დღის ვადაში. დადგენილი ვადა შესაძლოა გაგრძელდეს ერთჯერადად იმავე ვადით.

<p>„დამსაქმებლის მიერ პროფესიული დაავადების აღრიცხვის ფორმა“</p>		
<p>1. ზოგადი ინფორმაცია</p>		
<p>თარიღი: ___/___/___</p>	<p>უფლებამოსილი პირი</p> <p>სახელი, გვარი: _____</p> <p>პ/ნ: _____</p> <p>ტელ: _____</p>	<p>დადგენილი საწარმოო ფაქტორების შესახებ ინფორმაცია</p> <p>_____</p> <p>_____</p> <p>_____</p> <p>_____</p> <p>_____</p> <p>_____</p> <p>_____</p> <p>_____</p> <p>_____</p>
<p>2. ინფორმაცია საწარმო/ორგანიზაციის შესახებ</p>		
<p>კომპანიის დასახელება: _____</p> <p>ს/კ: _____</p> <p>ტელ: _____</p> <p>მის: _____</p> <p>საქმიანობის სფერო:</p> <p>დასაქმებულ(ებ)ი _____</p>		


დასაქმებული	სამუშაო პოზიცია	პროფესიული დაავადება	გამომწვევი მიზეზები

ხელმოწერა





კომპიუტერთან  
ჯდომის წესები !



არასწორმა ჯდომამ რა ზიანი შეიძლება მიაყენოს თქვენს  
ჯანმრთელობას !

